საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№132 (9963) 2025 წლის 29 სექტემბერი, ორშაბათი



ფილოსოფიის დოქტორი, არქიმანდრიტი, გიორგი(რუხაძე):

აზრის სიმწირე ომის პარტიაში

ამჯერადაც ③ სიკეთემ უნდა სძლიოს ბოროტებას!

ალეკო ასლანიშვილი:

უძალლო ქვეყანაში აყეფებული კატები

იხ. 2 გვ.

⑨

მაკა ჯოხაძე:

მუვიდობით არა, ნახვამდის...

მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა ⑤



პაატა გუგუშვილი 120

„სააკაშვილისგან განსხვავებით, ყაველაშვილი ტყუილს არასოდეს ამბობს...“



④

ეკრანი და ბავშვები: ჩვენ ვკარგავთ მომავალ თაობას!

იხ. 6 გვ.

ცივილიზაციური კატასტროფა

დადუნ თურქაძე:

ღია ბარათი

⑦

თეთრ სახლშიც მივალთ,
ცას გავხედავ, რა ამინდია?
თან შევახსენებ – მეგობრობა
გზა და ხიდია!
ევროპას გვიან ვინახულებთ,
მაინც, აქვეა,
პარნასზე მყოფი, გულს ძლიერ მტკენს,
დღეს რომ თავქვეა!

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

უძალლო ქვეყანაში აყეფებული კატები

რა უცებ გადის დრო, დღეები გადაებნენ ერთმანეთს და 4 ოქტომბერი ფრთაშესხმული მოფრინავს. მისი მოსვლა-მოფრენა, ალბათ, მხოლოდ არჩევნების მოლოდინით იქნებოდა გაჯერებული, „ხელისუფლების მშვიდობიანი დამხობის“ მოწოდება რომ არ წამლავდეს ყურთასმენას.

რაც მთავარია, ოთხი ოქტომბრის მოახლოებასთან ერთად ოპოზიცია სულ გაცოფდა. იმაზე არ ვლაპარაკობ, ქალი თუ კაცი, ასაკის მიუხედავად, „ოლე-ოლას“ რომ მღერის, ივანიშვილს რომ აგინებს და შვილიშვილებს უწყევლის. არც „ოცნების სხვა ლიდერები არიან ლაღად. მათ კოლექტიურად დებენ მიწაში, გოგჯერ კახა კალაძეს გამოარჩევენ ხოლმე, ისიც მაშინ, როცა ახლომახლო ლელოელებისა და გახარიელების მერობის ერთიანი კანდიდატი ირაკლი კუპრაძე გამოჩნდება და მეტოქის თავდაუგოგავ დედაბრულ ლანძღვას იწყებს...

აშკარად იკვეთება: „რამდენიმე ასეული ათასი“ ოპოზიციონერი არჩევნებში მონაწილე-არმონაწილენი, „მშვიდობიან დამხობას“ არ დასჯერდება და „დამამხობელ დამხობას“ მოინდომებს.

ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს!

ეს შინაური გარანტიაა „გამარჯვეგისა“.

მეორე გარანტია უფრო ნაღდი და უტყუარია. იგი ამერიკა-ევროპელი „მეგობრების დახმარებას“ ეფუძნება. ჰოდა, მოედვნენ ამერიკა-ევროპას ჩვენი რევოლუციონერ-დამსმენები. ალბათ, გახსოვთ, ჯერ ვაშინგტონს ეწვივნენ ჰელსინკის კომისიის სხდომაზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და ყოფილი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ყოვლად უღირსი მისიით, რაც შეიძლება შავგნელად წარმოეჩინათ საქართველოში არსებული „კოშმარული“ ვითარება. ოღონდაც, მათი თავგანწირული დასმენა-შპიონობის სანაცვლოდ საქართველოს საკითხის მოსმენისას ოპოზიციისთვის უაღრესად საწყენი ინფორმაცია გახმიანდა იმის თაობაზე, რომ „მეგობარი აქტი“, რომლის იმედით სულდგმულობდა მთელი ჩვენი ოპოზიცია, რადიკალურიც და ზომიერიც, ისე ჩავარდა, განხილვიდანაც მოიხსნაო. ისიც გემახსოვრებათ, რომ ორიოდ დღეში იმ დელეგაციას ნაცმოძრაობის თავკაცთა ჯგუფი მიჰყვა: თინა ბოკუჩავა, პეტრე ცისკარიშვილის, სულ მამის კვალზე წასული ლევან სანიკიძისა და ზურაგ ჭიაბერაშვილის (რომ ამტკიცებდა, „ქართველის დედის“ ქანდაკებას ხელში ხმალი კი არა, ფალოსი უჭირავსო) შემადგენლობით. ეს ჯგუფი მიზნობრივად ეწვია აშშ-ის დედაქალაქს, ჩავარდნილი „მეგობარი აქტის“ ავტორს კონგრესმენ ჯო უილსონს დაადგნენ ყელზე „ოფიციალური ვიზიტით“. აღარავისთვისაა დაფარული, რომ ეს კაცი ჩვენი ნაციონალების ლობისტია და მათ დახმარებაში გვარიანი თანხის აღებაც უდასტურდება „ფარას“ ანგარიშებში.

და აჰა, შედეგიც – „ქართული კოშმარის არაღიარების შესწორება“. ჯერ უცნობია, რა შედეგს გამოიღებს ეს ე. წ. შესწორება, მაგრამ ჩვენს ხავსმოჭიდებულ ვაიოპოზიციას იმედი ხომ ჩაუსახა! რა მნიშვნელობა აქვს, რატომ ირჯება ასე თავგადაკლულად ჯო უილსონი?

აგერ, ალეკო ელისაშვილი, მეგობრები ალოკეს რომ ეძახიან მოფერებით, არც მალავს: „ლობისტობა (თანხის სანაცვლოდ მეკავშირეობა) ამერიკაში ლეგალური საქმიანობაა და არ არის შეურაცხმყოფელი. ჯო უილსონი არის ოქროს კაცი, აშკარად უყვარს საქართველო. როცა აქ ჩამოვა, ხარი უნდა დავუკლა. არ ვიცი, ვის ლობირებს, მაგრამ განცდა მაქვს, რომ ის პატივს სცემს საქართველოს და მისთვის სულერთი არ არის, რა მოხდება საქართველოში. ამ მოღალატე ხელისუფლებას არავინ უნდა აღიარებდეს“.

მაგარი ხარ, ალოკე, მაგარი!

უცხოელთა დახმარების მოიმედეებზე ვლაპარაკობდით. პარტია „ლელოს“ ჯგუფი ბრიუსელს ეკვეთა „თვით“ მამუკა ხაზარაძის თავკაცობით, იქიდან შინ დაბრუნებული „ლელოდან“ თბილისის მერობის კანდიდატი ირაკლი კუპრაძე ბედნიერებისგან თმებს იწიწკნიდა და მხარდამჭერთ აღფრთოვანებული უამბობდა ვითარცა უკვე გამარჯვებული, რომ ბრიუსელის მერი ყოველმხრივ დახმარებას დაჰპირდა, განაკუთრებით მოსახლეობის ჯანდაცვის საქმეში. ეს უბირი კაცი ხალხს უზიარებს, არ ვიცი, ისევ ბრიუსელის მერისგან ნასწავლ თუ საკუთარი ტვინის ნახევარსფეროებში მოძიებულ პრაქტიკულ სიბრძნეს: 5 ოქტომბერსვე, უკვე როგორც მერი, გამოვაცხადებ საყოველთაო-ეროვნულ გაფიცვას ყველა დაწესებულებისთვის, ტრანსპორტისთვის. ეს დაუსრულებელი გაფიცვა წელში გასტეხს „ოცნების“ ხელისუფლებას და საბოლოოდ გამარჯვებას მოგვიტანსო. დიად საგაფიცვო აზრს ალოკეც დროშასავით აფრიალებს.

აუჰ, ამათ მართლაც ეკუთვნით თბილისის მერობა და ვიცემერობა!

* * *

სხვათა შორის, ოპოზიციაში მყოფმა გიგა ბოკერიამ და სვანეთის ომმოგებულმა გია გარამიძემ უფრო მოკლე და ქმედითი გზა გამოძებნეს – დიდი ბრიტანეთის საელჩოში მიიღეს ინსტრუქტაჟები...

რევოლუციისთვის ყველა ისე ემზადება (ოპოზიციაზეა ლაპარაკი), რის გაირამ დუდუკიც აქვს (ელისაშვილის საყვარელ გამოთქმას თუ მოვიხმობთ), მაგრამ აშკარაა, რომ რაიმე დიდის და დამანგრევლის გაირამ დუდუკი ოპოზიციას აშკარად არა აქვს. აი, თუნდაც გერმანიაში გაჭრილ **გიორგი გახარიას** მოვუსმინოთ:

როცა არჩევნების დღეს რევოლუციაზე და მშვიდობიან დამხობაზე ლაპარაკობ, შენ „ოცნების“ დელეგიტიმაციას კი არ ახდენ, არამედ მშვიდობიანი პროცესის დელეგიტიმაციასო... როცა ამ რევოლუციის არავითარი რესურსი არ გაქვს, ეს არის უპასუხისმგებლობაო.

რევოლუციის კვირაძალზე გერმანიას ეწვივნენ ისევ „ოფიციალური ვიზიტით“ ამერიკიდან ახლახან დაბრუნებული, დაუღლელი ნაცები **თინა ბოკუჩავა** და **ლევან სანიკიძე,** შეხვდნენ კანცლერ მერცს და შეევედრნენ, რაც შეიძლება მკაცრად დასაჯეთ „ოცნების“ ხელისუფლება, ივანიშვილს და მის გარემოცვას შეუწყვიტეთ უვიზო მიმოსვლაო.

ნაღდია, რომ 4 ოქტომბრისთვის „ოცნებაც“ სერიოზულად ემზადება, ხმამაღალ განცხადებებს არ აკეთებენ და არც შეიარაღებულ პოლიციელებს აჯირითებენ ქალაქში, აკეთებენ იმას, რასაც პასუხისმგებლიანი ხელისუფლება უნდა აკეთებდეს ასეთ დროს, როცა შეიძლება ქალაქში არეულობა მოხდეს, მაგრამ შეიძლება არც მოხდეს. მისმა ღონისძიებებმა თუნდაც ის მოიტანა, რომ ხელისუფლება აღარ უფრთხის მზია ამაღლობელის მსგავსი „ეროვნული გმირების“ და „სინდისის პატიმრების“ ჩასმას...ან რატომ უნდა უფრთხოდეს, როცა თვალწინ გვაქვს თუნდაც ინგლისელი რადიკალური მემარჯვენე აქტივისტის ტომი რობინსონის მაგალითი, რომელმაც 13 სექტემბერს ლონდონის ქუჩებში 110-150 ათასი ადამიანი გამოიყვანა. ამ კაცის ბიოგრფიაში მისი ნასამართლევობის ისტორია იქცევს ყურადღებას. 2008 წელს პოლიციელზე თავდასხმის გამო დაკარგა სამსახური და სწორედ აქედან იწყება მისი აქტივიზმი. ორჯერ არის ნასამართლევი სასამართლოს უპატივცემულობისათვის. ერთხელ: სასამართლოს მიმართ ზიზღის გამოხატვის ბრალდებით 13 თვე იჯდა ციხეში. მეორედ: სასამართლო სხდომაზე სიმშვიდის დარღვევისთვის (ფეისბუქზე პირდაპირი ტრანსლაცია ჩართო) – ათთვიანი პატიმრობა მოიხადა.

ამას ჩვენი „სინდისის პატიმრების“ „უდანაშაულოების“ შესაპირისპირებლად ვუსვამ ხაზს. მაგალითად, ნიკა მელიამ თავის პროცესზე მოსამართლეს წყალი რომ შეასხა გოთლით, ინგლისში ნეტა რამდენს მიუსჯიდნენ? ჩვენთან კი შერჩა. საერთოდ ხელისუფლებას გევრი რამის თავის სასიკეთოდ გათვალისწინებგა შეუძლია ინგლისის მართლმსაჯულების მაგალითზე.

შეუძლია, პირდაპირ იხელმძღვანელოს პრეზიდენტ ტრამპის მოწოდებით პოლიციელებისადმი, აქციებზე თქვენს შეურაცხმყოფელებს, თავდამსხმელებს იქვე, უმალ გაეცით შესაბამისი პასუხიო. გამოიყენოს ეს შეგონება შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მორჩება აქციაზე დაკავებულთა ღინღილი, პოლიციელმა ამას მოქაჩა, იმას მიარტყაო; მორჩება ტელევიზიაში ინგა გრიგოლიას და და-ძმათა მისთა მრისხანე ტირადები სამართალდამცველთა უკანონობასა და უსამართლობაზე. ეს ღინღილები და წუწუნები თქვენ 5 ოქტომბერს ნახეთ, როცა ჩაფლავებული რევოლუცია კვლავაც ოთხამდელი პრაქტიკით გააგრძელებს ცხოვრებას.

ამასოგაში საინტერესო ამგეგი ხდება ოპოზიციის სათავეში, რომელსაც ვერა და ვერ გამოუჩნდნენ გელადები, ანუ ლიდერები. რევოლუცია ფაქტობრივად ანა წითლიძისა და პაატა გურჯულაძის ამარაა დარჩენილი.

რაც მთავარია, აშკარად ჩანს, რომ ოპოზიცია გახლეჩილია, წინააღმდეგობებით არის სავსე. პირდაპირ გომგის აფეთქებგის ეფექტი ჰქონდა გოლნისის მერობის ოპოზიციური კანდიდატის ქმედებას, რომელმაც თავისი კანდიდატურა მოხსნა „ოცნების“ სასარგებლოდ, იმ მოტივით, რომ ის უფრო ნაყოფიერად შეძლებდა ქვეყნის სასიკეთოდ შრომას „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში. ჰო-ჰო-ჰოო, რა ამგავი ატყდა, მოისყიდესო, დაუშანტაჟეს, დააშინესო... არავის უთქვამს, რომ იმ პატიოსანმა კაცმა სიმართლე თქვა, თავი ხლაფორთში არ ჩაიგდო და საეჭვო ვითარებას გაეცალა. მაგრამ ეს კიდევ რაა. გოლნისელის მაგალითს უკვე მიჰგაძა „ლელოს“ ოთხმა მაჟორიტარმა კანდიდატმა. ახლა, წადით და უყარეთ კაკალი!

უცნაურია, რომ ოპოზიციამ ასე იხუა გოლნისის ინციდენტი. განა ნაკლებ საყურადღებო იყო „ლელოს“ პოლიტსაბჭოდან ისეთი “კიტების“ წასვლა, როგორებიც იყვნენ **დეა მეტრეველი, ანა ნაცვლიშვილი, საბა ბუაძე** (ამ უკანასკნელმა მოგვიანებით საერთოდ დატოვა პარტია)...

რა ხდება „ლელოში? რატომ აფრთხობს ის თავის ხალხს ამ გოლო დროს? იმიტომ ხომ არა, რომ იციან, “ლელო“ მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობით არ შემოიფარგლება, რევოლუციის მეორე ბუნტარულ ეტაპზე, ალბათ, უფრო არსებითად აპირებს ჩაგმას, რასაც უბრალოდ ღრიანცელი და წივილ-კივილი კი არა, იქნებ სისხლიც მოჰყვეს და როგორც აქციები იყო „მშვიდობიანი“, ალბათ, 5-ჯერ მეტი იქნება რევოლუციის რისკიც.

SOS! SOS! SOS!

ოპოზიცია ხომ ყოველმხრივ ემზადება „მშვიდობიანი დამხობისთვის“, რისიც არავის სჯერა! ალბათ, ამიტომაც ცდილობენ ამ გოლო ხანებში მის შეფერადებას. „სახალხო კრების თავმჯდომარე“ პაატა ბურჯულაძე წინადადებას იძლევა, უწოდონ მას „ლამაზი რევოლუცია“, „ალერსიანი ჩარეცხვა“... მაგრამ რაც გინდა ეცადო, ლეშს მძორის სუნს ვერ მოაშორებ.

ამჯერადაც სიკეთემ უნდა სძლიოს ბოროტებას!

აზრის სიმწირე ომის პარტიაში

2003 წლიდან დღემდე ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამო ენმ-სა და მასზე მიბმულ სატელიტ პარტიებს მხარდამჭერები მინიმუმამდე შეუმცირდა. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მათი რევოლუციური კონტინგენტი გარეშე ძალებისგან მოსყიდული დამნაშავეებისა და სხვადასხვა მიზეზით გადაგირეგული ზნედაცემულებისგან შედგება.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ამ ქართველთმოძულე „ელგებეტე-ენჯეოების“ ნაც-სექტას ძირითადად ასულდგმულებს არა უცხო კაპიტალი, არამედ – ქართველ მეთაურთა ჯგუფი. მისმა წევრებმა კარგად უწყიან ფასი მშვიდობისა, რომლის დადგომის შემთხვევაში, მათი ბოროტი საქმეების მხილება საგრძნობლად დაჩქარდება და თავიანთი ბელადის არასასურველ ხვედრს უცილობლად გაიზიარებენ.

ნაცებისთვის მთავარია ქვეყანაში იყოს არეულობა, ომი ან რევოლუცია, თორემ მნიშვნელობა არ აქვს, რუსეთთან მეორე ფრონტის გახსნითა თუ სამოქალაქო დაპირისპირებით იქნება იგი გამოწვეული. წმინდა სახარება ცხადად გვიჩვენებს მიზეზს კაცთა მიერ ნათელის, სიკეთის, მშვიდობის ან მნელის, ბოროტების, ომის სიყვარულისა:

„ყოველი, რომელი ბოროტსა იქმს, სძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რაათა არა ემხილნენ საქმენი მისნი. ხოლო რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მოვალს ნათლად, რაათა ცხად იყვნენ საქმენი მისნი“ (იო.3,20-21).

ამასთანავე, არსებობს მეორე მცირე ჯგუფი ნაცების მხარდამჭერებისა, რომელნიც მოჩვენებითი უანგარობით ხელისუფლების მძაფრ კრიტიკასა და ომის პარტიის გამართლებას ცდილობენ. მათგან განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებენ სამღვდელო პირები, რომელნიც ზნეობის სადარაჯოზე დგომის ნაცვლად ლიბერალური ფაშიზმის პროპაგანდას ეწევიან. პირველი მიზეზი ამ დასის წევრთა სიბნელისაკენ მიდრეკისა შური და ამპარტავნობაა, რასაც მათივე ნახევრად განსწავლულობა და სარწმუნოების ნაკლოვანება უწყობს ხელს.

სჯულის კანონების მოხმობით რომ არ გაგვირთულდეს საუბარი, ყველა ქრისტიანისთვის ცნობილ მუხლს მოვიყვან დილის ლოცვანიდან:

„უფალო, შთაუთხრენ გულთა შინა მათთა (ხელისუფალთა) კეთილი და მშვიდობაა წმიდისა ეკლესიისათჳს და ყოვლისა ერისა შენისა და მიეც მათ მშვიდობაა და დაწყნარებაა, რაათა მყუდროებასა შინა მათსა დაწყნარებული ცხოვრებაა გუაქუნდეს, მართლითა სარწმუნოებითა და კეთილმსახურებითა ვცხოვროდეთ“.

თუ განხეთქილებასა და დაპირისპირებას არ ესწრაფვი, ახლანდელი მთავროებისგან, რომელიც ეკლესიური ცხოვრებისთვის, ტრადიციების დაცვისთვის, ომის თავიდან აცილებისთვის და, შეძლებისდაგვარად, ქვეყნის აღორძინებისთვის თავს არ ზოგავს, სხვას რას მოითხოვ?! – თუ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები გაქვს, ახალი ეკონომიკური ფორმაციის შექმნაზე ოცნებობ და პატიმოყვარეობას ქვეყნიერების გარდამქმნელისა ვერ იოკებ, მაშინ შენ მორალურ პრინციპებთან ერთად კურთხეული სამოსისგანაც მალე განთავისუფლდები და ოფიციალურად ჩადგები მწყობრში ნაცური სექტისა, რომელიც, თავის მხრივ, ქვეყნის აოხრებისთვის თავს არ ზოგავს!

დაცვისთვის, ომის თავიდან აცილებისთვის და, შეძლებისდაგვარად, ქვეყნის აღორძინებისთვის თავს არ ზოგავს, სხვას რას მოითხოვ?! – თუ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები გაქვს, ახალი ეკონომიკური ფორმაციის შექმნაზე ოცნებობ და პატიმოყვარეობას ქვეყნიერების გარდამქმნელისა ვერ იოკებ, მაშინ შენ მორალურ პრინციპებთან ერთად კურთხეული სამოსისგანაც მალე განთავისუფლდები და ოფიციალურად ჩადგები მწყობრში ნაცური სექტისა, რომელიც, თავის მხრივ, ქვეყნის აოხრებისთვის თავს არ ზოგავს!

სირცხვილია, ან პათოლოგია, როცა ქრისტიანად წოდებული კაცი უერთდება რევოლუციური ჟინით შეპყრობილ მასას, რომელსაც ლოგიკისგან დაცლილი ორად-ორი ლოზუნგი მართავს: ევროპის განდიდებისა და რუსეთის სიძულვილის. რეალობა კი ასეთია: პროტესტანტული აღმსარებლობის მქონე ევროპელები დიდი ხანია, რაც სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მოძღვრებისგან სრულიად მიდრკნენ, ხოლო კათოლიკეები, დოგმატურ დარღვევებთან ერთად, ლგბტ-ის მოთხოვნების მიმართ სულ უფრო დამთმობნი გახდნენ.

როგორც ჩანს, „დავარცხნილი“ ევროპის მოყვარულებს ის იზიდავს, რომ იქაური საზოგადოება ლგბტ-თემთან მშვიდობიან თანაცხოვრებას სრულიად შეეგუა და საკუთარი შვილების ზნეობრივ აღზრდაზეც კი პასუხისმგებლობას ვეღარ იღებს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მომავლისადმი უპასუხისმგებლობა ადამიანს ეგოისტურ ნაჭუჭში აქცევს, რომელშიც ბედნიერების არავითარი განცდა არ არსებობს. ადამიანს სიხარულსა და ნეტარებას ანიჭებს სხვა ადამიანთა სიყვარული, მეგობრობა, თანაგრძნობა და თანადგომა, სხვისთვის გაღებული მსხვერპლი; ხოლო უზნეობასთან შეგუებამ და სხვათა მიმართ მზრუნველობის მოვალეობაზე ხელის აღებამ ეს გრძნობები იმდენად მიანავლა, რომ, უცხოეთში მცხოვრები ქართველების აღიარებითაც, თანამედროვე ევროპელთა დიდი ნაწილი ყველაფრისადმი გულგრილი გახდა.

ხეტიალის მოყვარული ჩვენი თანამოქალაქენიც და საქართველოში ჩამოსული სარგებლის მაძიებელნიც ერთხმად აღიარებენ, რომ ქართველები თბილი ხალხია, ტრადიციებისა და ღირსების დამფასებელნი, სტუმართმოყვარენი და კეთილი მასპინძლები... რასაკვირველია, ყველაფერი შედარებითია, მაგრამ ფაქტია, რომ ღმრთის წყალობით, ამ ცოდვიან ქვეყანაზე კაცის სახეს მაინც ვინარჩუნებთ.

მაშ, რაღა უნდათ ოპოზიციონერ რევოლუციონერებს? – კეთილი მიზანი რომ ამოძრავებდეთ, მაშინ დაგვისაგუთებდნენ კიდეც თავიანთ შეხედულებებს, მაგიდასთან დასხდებოდნენ სასაუბროდ და ქუჩების გადაკეტვას მოეშვებოდნენ, მაგრამ მათი არგუმენტაცია ხომ ერთადერთი ჯადოსნური სიტყვით იწყება და მთავრდება: რუსი, რუსული, რუსეთი!

სხვათა შორის, მათი გაგებით, მეც დაუფარავი რუსი ვარ, მაგრამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ ჩემ მიერ გამოქვეყნებულ არცერთ პუბლიკაციაზე კრიტიკული აზრი არავის გამოუთქვამს; ალბათ, იმიტომ, რომ დასაპირისპირებლად მაინც აზრია საჭირო, რომლის დეფიციტი ნაცურ კონგლომერატს ნამდვილად აქვს.

იტყვიან: დაგვცინისო. არა, გატონებო. უბრალოდ, აზროვნება ლოგიკას უნდა ექვემდებარებოდეს: თქვენ თუ მართლაც შეგნებულად მოქმედებთ და მორიგი რევოლუციის გზით გეი-დიქტატურის დასამყარებლად ემზადებით, როგორ ვერ ხვდებით, რომ ქართველი ერი, დამცველი ქრისტიანული ეკლესიისა და ოჯახის სიწმიდისა, თქვენ სამშობლოს არ დაგითმობს და, თუ ძალიან გაჯიქდებით, საქართველოში ცხოვრების უფლებასაც ჩამოგართმევს, როგორც დაქირავებულ მკვლელებსა და ტერორისტებს!



ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე),
ფილოსოფიის დოქტორი.

პატიკოს ახალი არია 4 ოქტომბრის არარაობიდან

პაატა ბურჯულაძე: 4 ოქტომბერს არ არის აქცია, არის ეროვნული კრება, კენჭს ვუყრით, გვინდა თუ არა მოქალაქეებს, ავიღოთ ხელში ხელისუფლება, ყველანი ვიტყვით – კი, იმ წუთიდან ჩვენ ვართ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი!..

...ეს არ არის აქცია. ეს არის ეროვნული კრება. ეროვნულ კრებაზე ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე საკითხს. ეს არის – გვინდა თუ არა საქართველოს მოქალაქეებს, რომ კონსტიტუციიდან გამომდინარე, ავიღოთ ხელში ხელისუფლება და ჩვენ გვეკუთვნოდეს ჩვენი ქვეყანა. მგონი, არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ყველანი ვიტყვით, რომ – კი. იმ წუთიდან როგორც კი ამას ვუყრით კენჭს, იმ წუთიდან ჩვენ ვართ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი. ამის შემდეგ ვიღებთ ხელისუფლებას ხელში. საქართველოს მოქალაქემ უნდა აიღოს ხელში ამ ქვეყნის მართვა.

აუცილებლად უნდა დავნიშნოთ დროებითი, ტექნიკური მთავრობა, რომელიც ჩაიბარებს ამ ქვეყანას და იქნება პროფესიონალებით აღჭურვილი და რაც მთავარია, პატიოსანი ხალხით, რადგან ეს დიდი იშვიათობა გახდა დღეს. აუცილებლად უნდა დაინიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები და იქ ვინც გაიმარჯვებს, ის პოლიტიკური პარტია იქნება მმართველი“!..

28.IX.2025.

ახალი ათვლა მალე დაიწყება!

„სააკაშვილისგან განსხვავებით, ყაველაშვილი ტყუილს არასოდეს ამბობს...“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი ნიუ-იორკში დონალდ ტრამპს ესაუბრა და პირობა მიიღო, რომ საქართველოს საკითხს ტრამპი დაუბრუნდება და დაურეკავს. ეს შეხვედრა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მცდელობა, გაანეიტრალოს ბოლო პერიოდში დაგროვილი დაძაბულობა თბილისსა და ვაშინგტონს შორის და ურთიერთობები „ახალი ფურცლიდან“ დაიწყოს. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია კითხვა: რა რეალური გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ კომუნიკაციას და რას ცვლის ის დღევანდელ რეალობაში. შესაძლოა, თუ არა, რომ ამ ეტაპზე საქართველო ტრამპისთვის პრიორიტეტი სულაც არ იყოს.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ტრამპმა მას პირობა მისცა, რომ საკითხს განიხილავს და დაუკავშირდება.

„ვუთხარი, რომ აუცილებელია ურთიერთობა ახალი ფურცლიდან დაიწყოს. ტრამპმა მიპასუხა, რომ ამ თემას აუცილებლად მიუბრუნდება და დამპირდა, რომ დამიკავშირდება. გვქონდა სხვა შეხვედრებიც ადმინისტრაციასთან, მათ შორის, ვაჭროგის მდივანთან“, – აღნიშნა **მიხეილ ყაველაშვილმა.**

პრეზიდენტის ინიციატივას მალევე გამოეხმაურნენ მმართველი გუნდის ლიდერები. თბილისის მერმა **პახა პალაძემ** განმარტა, რომ ხელისუფლების სურვილი დასავლეთთან ურთიერთობების განახლებაა და ეს ინიციატივა სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

„ჩვენ არავის ვერჩით, არავის ვეზრძვით. ნარმოუდგენელია, საქართველო ამერიკას ან ევროპას ეზრძოდეს. გვინდა, რომ ურთიერთობა ტყუილზე, სიცრუესა და მუქარაზე აღარ იყოს დაფუძნებული და სწორედ ამიტომ ვიწყებთ ახალ ფურცელს“, – აღნიშნა **კალაძემ.**

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** კი აცხადებს, რომ ხელისუფლება ნებისმიერ დროს მზად არის საუბრისთვის:

„ეს არის ჩვენთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი. არაერთხელ მაქვს საჯაროდ ნათქვამი – ჩვენი სურვილია, სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკასთან სუფთა ფურცლიდან განახლდეს. ველოდებით შემხვედრ ნაბიჯებს და იმედი გვაქვს, ისინი გადაიდგმეგა. ძალიან კარგია, თუ გატონმა პრეზიდენტმაც ეს ყველაფერი პირადად უთხრა გატონ ტრამპს. როდის დარეკავს, ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ დროს“, – განაცხადა **კობახიძემ.**

ოპოზიცია ხელისუფლების გზავნილებს სკეპტიკურად აფასებს. მათი თქმით, „ახალი ფურცლის“ ინიციატივა მხოლოდ პიარ-სტრატეგიაა და შედეგს ვერ მოიტანს, თუ ქვეყანა რეალურ რეფორმებს არ განახორციელებს.

შედეგად, პრეზიდენტის ნიუ-იორკული შეხვედრა ტრამპთან ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ სიგნალად იქცა. თუმცა, გახდება თუ არა ეს საუბარი თბილისი-ვაშინგტონის ურთიერთობების ახალი ეტაპის დასაწყისი, დამოკიდებულია არა მხოლოდ ტრამპის პოზიციაზე, არამედ იმაზე, რამდენად მოახერხებს საქართველო რეალური ნაბიჯებით დაადასტუროს საკუთარი მზაობა „სუფთა ფურცლიდან“ დიალოგისთვის.

ანალიტიკოსი **პეტრე მამრაძე** for.ge-თან აცხადებს, რომ მას ეჭვი არ ეპარება მიხეილ ყაველაშვილსა და დონალდ ტრამპს შორის კომუნიკაციის არსებობაში. მამრაძის თქმით, ყაველაშვილი, საკაშვილისგან განსხვავებით, არასოდეს იტყუება.

„იმ პირობებში, რაც ბოლო პერიოდში შეიქმნა და იმ ფონზე, როგორც გააფუჭეს საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობა, ნამდვილად კარგია, რომ ეს კომუნიკაცია შედგა. ყაველაშვილი არ არის პიროვნება, რომელიც მსგავს ტყუილს გამოიგონებდა, და ამის საჭიროებაც არ ჰქონდა. ყველამ კარგად ვიცით, როგორ დაუნებით ითხოვდნენ ბაიდენის ადმინისტრაცია და მისი გარეგანი, რომ საქართველო ომში ჩართულიყო. მართალია, ეს მდგომარეობა დღეს აღარ დგას, მაგრამ გაფუჭებული ურთიერთობა ნამდვილად აღდგენას საჭიროებს. საქართველოს ხელისუფლება ამისთვის მზად არის. არაერთი განცხადება გააკეთა პრემიერმა კობახიძემ, პრეზიდენტმა ღია წერილი დაწერა და ეს მზაობა ჩვენი მხრიდან არსებობს. თუმცა, ტრამპის ადმინისტრაციის მხრიდან, ამ ეტაპზე, ინტერესი არ შეიმჩნევა და ამაში საქართველოს ხელისუფლება დამნაშავე არ არის. აქ რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რის გამოც, ახლა, ჩვენი ქვეყანა მათ ინტერესის სფეროში არ ხვდება“, – ამბობს **მამრაძე.**

მისივე თქმით, ყაველაშვილისა და ტრამპის საუბარი დიდ შედეგს ვერ მოიტანს და ამაზე იმედების დამყარება არარეალისტურია. თუმცა, ანალიტიკოსის აზრით, ტრამპი პირად ურთიერთობებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და შესაძლოა, გარკვეულწილად, ეს წინ გადადგმულ ნაბიჯად იქცეს.

„ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის საქართველოთი დაინტერესების არქონა რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. პირველ რიგში, მისი ხასიათიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე, საქართველო უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს, რომელიც გარკვეულ დივიდენდს მოუტანს. ამ ეტაპზე, აზერბაიჯანისა და სომხეთისგან განსხვავებით, რომელთა მიმართ ინტერესიც ტრამპს „ზანგეზურის დერეფანმა“ გაუჩინა, საქართველო ასეთ ინტერესის სფეროდ არ მიაჩნიათ. არაბი შეიხებივით, ჩვენ არ შეგვიძლია ტრილიონობით დოლარის ინვესტიციები შევთავაზოთ. არც ომი მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში და მეზობლებთანაც, რუსეთის გარდა, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

შესაბამისად, საქართველოთი ტრამპი ვერც ქულებს დაიწერს და ვერც რამე ფინანსურ სარგებელს ნახავს. იცის, რომ ქვეყანა ოკუპირებულია რუსეთის მიერ, მაგრამ აქ სიმშვიდეა. ამიტომაც, ამ ეტაპზე, საქართველოს მისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობა არ აქვს. ვნახოთ, მოვლენების განვითარება მევრ რამეს გამოაჩენს. სენატში „მეგობარი აქტის“ დაბლოკვა და ელჩის მიღება უკვე რაღაც ნაბიჯებია. ახლა უნდა დაველოდოთ ელჩის გამოგზავნასაც და ამის შემდეგ, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება ტრამპის ადმინისტრაციის დამოკიდებულება“, – აღნიშნავს **მამრაძე.**

ლიკა ბერიკაშვილი

ხაზარაძე-გახარიას მემორანდუმი

როგორც „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ალტერნატივა

ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით, „ძლიერი საქართველო – ლელოსა“ და „გახარია საქართველოსთვის“ პარტიებს შორის მემორანდუმი გაფორმდა. ამის შესახებ ცნობილი ხდება პარტიების ერთობლივი განცხადების საფუძველზე. 26 სექტემბერს პარტიის ლიდერებმა – მამუკა ხაზარაძემ და გიორგი გახარიამ შეხვედრა გამართეს და როგორც გაირკვა, ეს შეხვედრა ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში გაიმართა. ანალიტიკურ და პოლიტიკურ წრეებში, ეს დადებით და პერსპექტიულ ნაბიჯად შეფასდა, რადგან 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, დიდი ხნის განმავლობაში, მიდიოდა საუბარი მათ შესაძლო გაერთიანებასა და ხაზარაძე-გახარიას სახით, მესამე, ალტერნატიული ძალის ჩამოყალიბების შესაძლებლობაზე.

პარტიების საერთო განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს მემორანდუმი აღმოჩნდა კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია ორი, განსხვავებული იდენტობის მქონე პარტიას საქმეზე ორიენტირებული თანამშრომლობა:

„ჩვენს პოლიტიკურ პარტიებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავდა ერთმანეთთან კონკურენციის გამორიცხვას მომავალი მუნიციპალური არჩევნების ფარგლებში. მოხარულები ვართ, რომ მემორანდუმი შედგა. ეს პარტნიორობა დაფუძნებულია თანასწორობაზე, პასუხისმგებლობასა და კოორდინაციაზე, რომელიც თბილისისა და საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს აყენებს პარტიულ ინტერესებზე მაღლა. განსაკუთრებით საინტერესო შეთანხმებას მივაღწიეთ თბილისში, სადაც წარვადგინეთ თბილისის მერობისა და საკრებულოს თავმჯდომარეობის შეთანხმებული კანდიდატები.

იხ. 8 გვ.



მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავის გამო

დიდი ადამიანები მხოლოდ სიცოცხლეში გაკეთებული კარგი საქმეების გამო რჩებიან საზოგადოებისათვის სასარგებლონი. ისინი გარდაცვალების შემდეგაც თავიანთი ნამოღვაწარით სხვებს გზას უნათებენ და შთააგონებენ კეთილ საქმეთა კეთებას. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

აკადემიკოსი პაატა გესარიონის ძე გუგუშვილი დაიბადა 1905 წლის 28 სექტემბერს აბაშის რაიონის სოფელ კოდორში (ამჟამად კეთილარი). 1923-1927 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ფინანსისტ-ეკონომისტის სპეციალობით.

მეცნიერისათვის დამახასიათებელი ნიჭიერება, ნებისყოფა, პრობლემის საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლის უნარი მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოავლინა. იგი 1927 წლიდან მოყოლებული, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სტატიებს, რეცენზიებს, კრიტიკულ შენიშვნებს, ნარკვევებს ეკონომიკური მეცნიერებისა და საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საკითხზე.

ეკონომიკურ მეცნიერებას საქართველოში საუკუნეთა სიღრმეში აქვს ფესვები გადგმული. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ საქართველოში ეკონომიკურმა შეხედულებებმა და კვლევებმა მეცნიერული ხასიათი ივანე ჯავახიშვილისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის ნაშრომებში მიიღო. აკადემიკოს პაატა გუგუშვილს წილად ხვდა, სწორედ, მათი მოწაფე ყოფილიყო, მაგრამ არც იგი დარჩენილა მისი დიდი მასწავლებლების ვალში. სწორედ აკადემიკოს პაატა გუგუშვილს მიუძღვის გადამწყვეტი წვლილი საქართველოში ეკონომიკური სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ასევე განსაკუთრებულია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამსახურება საქართველოში პირველი ეკონომიკური სამეცნიერო კერის – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებაში, რომლის უცვლელი დირექტორი იყო 32 წლის განმავლობაში.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა. მისი ნაშრომები ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ჟურნალისტიკის, ეკონომიკური აზრის ისტორიის, ეკონომიკური ტერმინოლოგიის და სხვ. პრობლემებს. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული – **„საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.“**, რომელშიც, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე გამოვლენილია ეკონომიკური ურთიერთობების არაერთი მანამდე მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი მხარე და მოცემულია მათი სიღრმისეული ანალიზი.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი რომ ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, ამაზე მეტყველებს იმ ნაშრომთა არასრული ჩამონათვალი, რომელიც ეხება არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ ისტორიის, ჟურნალისტიკის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. აი, ისინიც: **„ქართული წიგნი 1629-1929 წწ.“, „ქართული ჟურნალისტიკა“, „სოციოლოგიური ეტიუდები“, „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე“, „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“, „მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა“, „დემოგრაფიის ნარკვევები“** და სხვ., რომელთაც, ისე, როგორც მისმა ყველა ნაშრომმა, სპეციალისტთა ფართო გამოხმაურება და მაღალი შეფასება მიიღო. მნიშვნელოვანი ძვრები, რაც 70-იანი წლების შემდეგ განხორციელდა საქართველოში დემოგრაფიის კვლევის დარგში, ბატონი პაატა გუგუშვილის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილს გამოქვეყნებული დიდმნიშვნელოვანი ორიგინალური ნაშრომებისათვის 1938 წელს საჯარო დაცვის გარეშე (Honoris Causa) ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1940 წელს პაატა გუგუშვილმა, სრულიად ახალგაზრდა მკვლევარმა, გრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მის სადისერტაციო ნაშრომს – **„საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX ს.“** – მაღალი შეფასება მისცეს უაღრესად პრინციპულმა და მომთხოვნმა მეცნიერებმა – **ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და ფილიპე გოგიჩაიშვილმა.**

ამიერკავკასიის სამოქალაქო და მეურნეობის ისტორიის წყაროების კრებულთა გამოცემა პირველად პაატა გუგუშვილმა განახორციელა, რითაც მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ არქეოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილს დიდი დამსახურება აქვს ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. ნახევარ საუკუნეზე მეტი იმუშავა ამ მიმართულებით. 1947 წელს გამოცემული **„ეკონომიკის ტერმინოლოგია“** შედგენილია მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა იმ დროის ბევრ ცნობილ მოღვაწესთან. **კონსტანტინე გამსახურდია პაატა გუგუშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოყოფს მის მიერ კვლევის ობიექტის მიგნებისა და შერჩევის საოცარ უნარს. როგორც იგი აღნიშნავს, პაატა გუგუშვილს თავისი კვლევა-ძიების თემები ჩვენი ხალხის ნამდვილი ცხოვრების სიღრმისეული პროცესებიდან და საკუთარი ფართო ერუდიციის წიაღიდან აქვს აღებული.**

ბატონი პაატა 1960 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად. 1962 წელს მას საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

1976 წლიდან ბატონი პაატა სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემათა განყოფილების გამგე და მისი ინიციატივით შექმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობას შესანიშნავად უთავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას.

ბატონი პაატა დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი პაატას ადამიანური თვისებები: ობიექტურობა და პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა და მიზანსწრაფულობა, კეთილშობილება და ერთგულება და სხვ. იგი იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა.

ბატონ პაატას რთული ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ მან ყველაფერს გაუძლო, შთამომავლობას დაუტოვა მაღალი ღირებულების სამეცნიერო ნაწარმოებები, შექმნა ქართული ოჯახი შესანიშნავ ქალბატონთან ნინო ნიქაბაძესთან ერთად. მათ სამშობლოს აღუზარდეს ორი მაღალი ინტელექტუალური ღირებულებების მატარებელი შვილი – ბესარიონ გუგუშვილი და გულბაათ გუგუშვილი. ყველასთვის ცნობილია, რომ ბატონი ბესარიონი, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ბატონი პაატას სიცოცხლე მათ შვილიშვილებში და შვილთაშვილებში გრძელდება.

მადლიერი თაობა არ ივიწყებს ბატონი პაატას ღვაწლს. ამის დადასტურებაა ის, რომ აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას თაოსნობით მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს პაატა გუგუშვილის სახელი ეწოდა, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი – „პაატა გუგუშვილის სახელობის აუდიტორია“ დაარსდა. მშობლიური კოლექტივიც არ ივიწყებს მის სახელს. ინსტიტუტში მოეწყო და გაიხსნა პაატა გუგუშვილის სახელობის კაბინეტი, ღირსეულად აღინიშნა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე და 110-ე წლისთავი. სამივე თარიღს მიეძღვნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და საიუბილეო სხდომა, ჟურნალ „ეკონომისტის“ სპეციალური ნომრები, მომზადდა და გამოიცა ბატონი პაატას „დღიურები და მოგონებები“, დაარსდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია და მედალი და სხვ.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელს დავიწყება არ უწერია, მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.

ცივილიზაციური კატასტროფა



ეკრანი და ბავშვები: ჩვენ ვკარგავთ მომავალ თაობას!

ბავშვი, რომელიც ჯერ ექვსი წლისაც არ არის, ზომბივით მიშტერებია მოგილურის ეკრანს. დედა მისკენ იხრება და ეუბნება: „დედიკო მხოლოდ წამით გამოიყენებს ტელეფონს, კარგი?...“ ბავშვი არ რეაგირებს. დედა ისევ ცდილობს: „შეიძლება დედიკომ წამით აიღოს ტელეფონი, რომ სწრაფად შეტყობინება გაგზავნოს? მაშინვე დაგიბრუნებ“. ბავშვი კვლავ ურეაქციოდ ზის და მუხლებზე დადებულ ტელეფონს მიშტერებია. დედა ხელს ჰკიდებს ტელეფონს: „მხოლოდ წამით ავიღებ“. ამ დროს ბავშვი ყვირილს ისე იწყებს, თითქოს მახეში გაბმული ცხოველი იყოს. როცა დედა ტელეფონს იღებს, ბავშვი ფეთქდება – საშინელი ხმები, უკონტროლო კანკალი, ემოციური აფეთქების ზღვარი; ყვირის, იკრუნჩხება და ფეხებს აბაკუნებს. ბოლოს, ტელეფონს უბრუნებენ და ისიც მშვიდდება.

ეს სცენა, რომელიც ზემოთ აღვწერე, ორი დღის წინ ლონდონის ჰითროუს აეროპორტში ვნახე. არცერთ მშობელს ბავშვის ეს ქცევა უცნაურად ან შემარცხვენლად არ მიუჩნევია. გარშემმყოფებსაც არაფერი გაჰკვირვებიათ – და ეს იმიტომ, რომ, როგორც საზოგადოება, ასეთ სცენებს უკვე მივეჩვიეთ. ჩვენი შვილები ელექტრონულ მოწყობილობებზე სრულად დამოკიდებულნი არიან, და მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებით, მხოლოდ ერთი სიტყვით შეიძლება აღიწეროს – იწყება F-ით და მთავრდება „UCKED“ (**FUCKED**).

ცნობილია, რომ დოპამინი არის ჰორმონი, რომელიც ჩვევების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში მთავარ როლს ასრულებს. დოქტორი მარისა აზარეტი, რომელმაც ეკრანებზე დამოკიდებულების გავლენა ბავშვებზე საფუძვლიანად შეისწავლა, ამბობს: **„ეკრანების მიერ წარმოქმნილი სტიმულები დოპამინის სისტემას ააქტიურებს. ამ დროს ტვინში მიმდინარეობს ისეთივე პროცესები, როგორიც ნიკოტინის ან კოკაინის მოხმარების დროს ამოქმედდება“.** მისი თქმით, ეკრანის დრო „ტვინს ავსებს“ ძლიერი, მაგრამ ხანმოკლე დოპამინის დოზებით, რომელზეც ადამიანი საბოლოოდ სრულად დამოკიდებული ხდება. შედეგი? – ჩვენი შვილები წინაპრებთან შედარებით იმპულსების კონტროლის მნიშვნელოვნად დაქვეითებული უნარით გაიზრდებიან. მოდის თაობა, რომელიც ქცევით ცხოველებს ემსგავსება.

„თითქმის მყისიერად“, – აგრძელებს **აზარეტი**, – **„ტვინი ითხოვს დოპამინის ახალ დოზას, რაც იწვევს იმპულსების კონტროლის შესუსტებას და მუდმივ სურვილს ახალი ჯილდოს, მოწონების ან შეტყობინების მიღებისკენ“. ცხადია, ტექნოლოგიური კომპანიების წამყვანი დეველოპერები კარგად იცნობენ ამ მექანიზმს და შეგნებულად ქმნიან პროდუქტებს ისე, რომ ისინი მაქსიმალურ დამოკიდებულებას იწვევდნენ. აზარეტის თქმით, ეკრანებზე დამოკიდებულება ხშირად იწვევს უძილობას, მხედველობის პრობლემებს, თავის ტკივილს, შფოთვას, დეპრესიას, ტყუილს, დანაშაულის შეგრძნებას, მარტოობას და „ეკრანებზე დამოკიდებულების გრძელვადიანი შედეგები შეიძლება ტვინის დაზიანების ტოლფასიც კი იყოს“.**

ცოტა ხნის წინ ჩემს ქალაქში ვსეირნობდი და დაახლოებით ოცდაათ წლამდე ასაკის მამაკაცი დავინახე, რომელიც საბავშვო ეტლს მიაგორებდა. იმ დილით, ალბათ, ცოლმა სთხოვა, ბავშვი რამდენიმე საათით გაეყვანა, რომ ცოტა მოსვენება მოეხერხებინა. მეც ბევრჯერ ვყოფილვარ მსგავს ვითარებაში. რაც შემაძრწუნებლად მომეჩვენა, იყო ის, რომ კაცს ეტლზე მიმაგრებული ჰქონდა ტელეფონის დამჭერი, და ბავშვის სახიდან სულ რამდენიმე სანტიმეტრის მოშორებით, რომელიც ოთხი თვისაც არ იქნებოდა, საშინელი, AI-ით გენერირებული პოპ-მუსიკა ჰქონდა ჩართული.

როგორც ვთქვი, მეც ბევრჯერ ვყოფილვარ მსგავს ვითარებაში – ქუჩაში მიხეტიალია იმ იმედით, რომ ჩემი ცოლი ცოტას დაისვენებდა. და როცა ბავშვი ტირილს იწყებს, ზუსტად ვიცი, როგორ რეაგირებ – ინსტინქტურად იხრები ეტლისკენ, ბავშვს თვალებში უყურებ, წარბებს მაღლა სწევ, უღიმი და მშვიდი ხმით ეუბნები: **„კარგად ხარ, ჩემო საყვარელო, ყველაფერი კარგადაა“.** ყველა მშობელი ასე იქცევა, რადგან ეს ბავშვს ამშვიდებს – ეუბნება, რომ მშობელი მის გვერდითაა, რომ ის ადამიანია და შენც ადამიანი ხარ, და რადგან ორივე ადამიანები ხართ, არცერთი არ ხართ მარტო.

ვამბობ **„ყველა მშობელი ასე იქცევა“**, მაგრამ სინამდვილეში ასე იქცეოდნენ – მანამდე. იმ ახალგაზრდა მამამ, რომელიც ქუჩაში ბავშვს ასეირნებდა, მაჩვენა, რომ ეს ელემენტარული ადამიანური ურთიერთქმედება, რომელიც ჩვენი სახეობის დასაწყისიდანვე აუცილებელია ჩვილის განვითარებისთვის, ახლა უკვე უსულგულო მოწყენილობადაა ქცეული. ეს ძალიან, ძალიან სერიოზული პრობლემაა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვლენა ახალი არ არის. XVIII-XIX საუკუნეებში, ქალები, რომლებიც მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ქარხნებში მუშაობდნენ, ხშირად იყენებდნენ ოპიუმს, რათა ბავშვები გაეჩუმებინათ – ასე მუშაობდნენ შეუფერხებლად და დამსაქმებელთან პრობლემები არ ექმნებოდათ. XX საუკუნის დასაწყისშიც კი გვხვდება შემთხვევები, როცა დედები ბავშვებს მცირე დოზით ალკოჰოლს აძლევდნენ, რათა ცოტა ხნით დაეძინათ. მაშინ ეს პრაქტიკები ან მიღებული იყო, ან, სულ მცირე, ამას მოთმინებით იტანდნენ. დღეს ამ ქცევებს საშინელებად აღვიქვამთ – და მაინც, აღმოჩნდება, რომ დღესაც ვაკეთებთ მსგავსს, და შესაძლოა, უარესსაც.

ცოტა ხნის წინ ავტობუსით მგზავრობისას საუბარი გავაბი ქალთან, რომელიც ჩემ პირდაპირ იჯდა. მის გვერდით, ეტლში, ხუთი-ექვსი წლის ბავშვი შევნიშნე. მთელი გზის განმავლობაში მობილურს მიშტერებოდა – ეკრანი საშინელ ხმებს გამოსცემდა და თვალწარმტაც ფერებში ციმციმებდა. ამ დროს ბიჭუნა მუჭებით ტკბილეულს იყრიდა პირში. დედა ღიად მესაუბრა შვილის პრობლემებზე: **„მითხრეს, რომ მას ADHD აქვს,“** – მითხრა ბიჭუნას დედამ, – **„და აუტიზმიც, სხვადასხვა წამალს იღებს“.**

შესაძლოა, იმ ბავშვს მართლაც ჰქონდეს დიაგნოზები, რომლებიც სპეციალისტებმა დასვეს. მაგრამ თავი ვერ შევიკავე და ვიფიქრე: ფეხით სიარული რომ შევწყვიტო, მთელი დღე თვალი ვადევნო გადატვირთულ, ციმციმა გამოსახულებებს, თან მჯექარე სინთეზურ მუსიკას ვუსმინო და ამ დროს შაქრითა და ხელოვნური დანამატებით სავსე საკვები მივირთვა, ალბათ მეც მექნებოდა ADHD-სა და აუტიზმის ნიშნები.

რაც უფრო აშკარა ხდება, რომ შედეგად **„ნორმალური ადამიანების“** ნაცვლად **„გადახრილ“** ინდივიდებს ვიღებთ, მით უფრო ვცდილობთ ამ შედეგის მეცნიერულ ახსნას. ვეუბნებით ამ ტრაგიკულ არსებებს, რომ პრობლემა მათშია და არა იმ მშობელთა უყურადღებობასა და საზოგადოებრივ გულგრილობაში, რომელიც ჩვენს ეპოქას და მის მიამიტ რწმენას ახასიათებს – თითქოს ახალი ტექნოლოგიები უვნებელია. შედეგად, ტექნოლოგიებს არ ვთმობთ – უბრალოდ ვცდილობთ, მათი უარყოფითი ეფექტები წამლებით შევამციროთ.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მოცემულ ტექსტში ჯერ არც კი შევხებივარ იმ უამრავ საფრთხეს, რაც ამ ტექნოლოგიებს ახლავს, როცა ბავშვი სწრაფად სწავლობს მათში გზის გაკვლევას. დიდ ბრიტანეთში, და დარწმუნებული ვარ, სხვა ქვეყნებშიც, მსგავსი მდგომარეობაა – ახალგაზრდების 70% ამბობს, რომ 18 წლამდე ასაკში უკვე ნახეს პორნოგრაფია, ხოლო 27%-მა განაცხადა, რომ მსგავსი მასალა ონლაინ 11 წლის ასაკში ნახა. ეს, ცხადია, შემაძრწუნებელია. ნებისმიერმა ონლაინ ჯაჭვმა შეიძლება მიგვიყვანოს პორნოფილმამდე, ძალადობრივ ვიდეომდე. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ცუდია. მაგრამ მთავარი სხვა პრობლემაა.

ტექნოლოგიის როლი ბავშვების ცხოვრებაში უპირველესად იმაში მდგომარეობს, რომ უშუალოდ ტექნოლოგია ცვლის მათი გონების განვითარებას, აჩენს დამოკიდებულებას და ბავშვებს აუძლურებს. შედეგად, სულ უფრო ხშირად ვხედავთ გადახრილ ქცევებს ახალგაზრდებში – მათ შორის ძალიან პატარა ბავშვებში – და ამ ქცევებზე ბრძნული რეაგირების ნაცვლად, მათ „ნორმალურად“ გასაღებას ვცდილობთ. და როცა ქცევები იმდენად გადახრილია, რომ „ნორმალურად“ ვერ ჩაითვლება, მათ სამედიცინო პრობლემას ვუწოდებთ და არა საზოგადოებრივს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ტექნოლოგიის შემქმნელები (მარკ ცუკერბერგიდან დაწყებული, სუნდარ პიჩაიმით დასრულებული) ცდილობენ, თავიანთი შვილებისთვის ეკრანებთან შეხება მაქსიმალურად შეზღუდონ. ცნობილია, რომ ისინი დაბალტექნოლოგიურ სკოლებს არჩევენ, მაგრამ მათი კომპანიები სხვების შვილების მიმართ გაცილებით ნაკლებად ფრთხილები არიან. 2018 წლის სასამართლო პროცესზე, Meta-ს (ყოფილი FACEBOOK-ის) შიდა ინფორმატორმა განაცხადა, რომ კომპანია შეგნებულად ქმნის პროდუქტებს, რომლებიც ბავშვებისთვის მავნებელია და მიზანმიმართულად მიმართავს მათ 18 წლამდე ასაკის მომხმარებლებისკენ.

განსაკუთრებით COVID-ის წლებში (2020-2021 წწ.) ბევრმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სწავლების დიდი ნაწილი პროგრამულ უზრუნველყოფას გადააბარა, რომელიც მასწავლებლის ნაცვლად აწვდიდა ბავშვებს სასწავლო მასალას. შედეგად მივიღეთ ის, რომ ბავშვები დილიდანვე ეკრანს მიშტერებიან, ეკრანს უყურებენ მანქანაში ან ავტობუსში – სკოლისკენ მიმავალ გზაზე; შინ დაბრუნებულნი კვლავ ეკრანს უყურებენ და ბოლოს, ხშირად ტელეფონით ან ტაბლეტით ხელში იძინებენ.

გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის გაჩენასთან ერთად, სულ უფრო მეტი ადამიანი – როგორც ახალგაზრდა, ისე ზრდასრული – ვეღარ იღებს ელემენტარულ გადაწყვეტილებებს AI ჩატბოტის კონსულტაციის გარეშე და ექსტრემალურ შფოთვას განიცდის, როცა რაიმე მიზეზით AI-სთან წვდომა უფერხდება. ამიტომ, შეიძლება არც იყოს გადაჭარბებული იმის თქმა, რომ ახალი სახის მონობის მომსწრენი ვართ.

რაც აქ აღწერილია, ცივილიზაციური კატასტროფაა. დასავლეთი უკვე მძიმე დემოგრაფიული კრიზისის წინაშეა. შობადობა უკიდურესად დაბალია, ზოგიერთი ერი, მაგალითად იტალია და ესპანეთი, შესაძლოა მომდევნო საუკუნის შუა პერიოდში საერთოდ გაქრნენ. რა თქმა უნდა, ევროპული ქვეყნები, სავარაუდოდ, დემოგრაფიული ვარდნის სიმძიმეს იმიგრაციით გადაფარავენ, მაგრამ ამის შედეგად ევროპულ ქვეყნებად ვეღარ დარჩებიან.

ვიდრე ჩვენ თვითონვე ვზღუდავთ და ვწყვეტთ შვილების გაჩენას კონტრაცეფციითა და აბორტებით, იმ მცირერიცხოვან, იღბლიან ბავშვებს, ვინც ანტინატალიზმს გადაურჩებიან, ისეთი აღზრდა და განათლება ელით, რომელიც მათ ნეიროგანვითარებას ეკრანებზე დამოკიდებულებით ჩაახშობს. ის, რომ ასეთი აღზრდის შედეგები ერთ დღეს სამუშაო ბაზარზე და პოლიტიკურ სისტემაში გამოჩნდება.

მთავარი შეკითხვა, რაც გვრჩება, ასეთია: არსებობს თუ არა გამოსავალი? ვინც ამ პრობლემას ხედავს, თავად უნდა გახდეს „დაბალტექნოლოგიური“. შეგიძლიათ კომპიუტერი შინ მხოლოდ ერთ ოთახში გქონდეთ და მხოლოდ სამუშაოსთვის გამოიყენოთ. შეგიძლიათ ბავშვებს ეკრანებისა და ტელეფონების გამოყენება მთლიანად აუკრძალოთ. ყურადღება უნდა მიაქციოთ, როგორ იკყრობს ეკრანი ოჯახურ ცხოვრებასა და დროს. შეგიძლიათ სკოლაში იკითხოთ, როგორ იყენებენ ეკრანებს და ეცადოთ, იპოვოთ ისეთი სკოლა, სადაც სასწავლო პროცესში ეკრანის დრო შეზღუდულია.

ეს იყო უარყოფითი რეკომენდაციები. ახლა დადებითებს გადავხედოთ: მეტი დრო გაატარეთ ბავშვებთან გარეთ; ასწავლეთ ბუნებაში ცხოვრება, ნადირობა და თევზაობა; ასწავლეთ მცენარეებისა და ცხოველების სახელები, ფრინველების გარჩევა; წაუკითხეთ წიგნები, ასწავლეთ ძველი სიმღერები, ესაუბრეთ, ერთად ააშენეთ რამე – მაგალითად, ხის სახლი ან პატარა ბუნაგი. ერთ-ერთი საუკეთესო რჩევა, რაც მსმენია, განსაკუთრებით მოზარდების მშობლებისგან, არის „ტელეფონის თასი“: ხის თასი კართან, სადაც, შინ შესვლის წინ, ყველა ტელეფონი გროვდება.

მეუფე შიო: ჯვრის ძალით მოხდება ჩვენი დევნილების სახლებში დაბრუნება!..

„მხოლოდ ის შეძლებს იყოს ქრისტიანი, ვინც თავის ჯვარს აიღებს და ქრისტეს შეუდგება. ეს ჯვარი არის ღვთისა და ადამიანის თავგანწირული სიყვარულის ჯვარი, რადგან სხვანაირი სიყვარული არც არსებობს, ნამდვილი სიყვარული მხოლოდ თავგანწირვას გულისხმობს“, – ამის შესახებ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა, **მეუფე შიომ** ჯვართამაღლების დღესასწაულზე ქადაგებისას აღნიშნა.

ქადაგებისას მეუფე შიომ სოხუმის დაცემის დღეზეც ისაუბრა.

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. პატივცემულო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეო, ძვირფასო მამებო, ძმებო და დებო, გილოცავთ ჯვართამაღლების დიდებულ დღესასწაულს. ასევე, გილოცავთ წმინდა დიდი მღვდელმთავრის, იოანე ოქროპირის ხსენებას, გადმოგცემთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევას.

დღევანდელ დღეს განსაკუთრებით ვფიქრობთ ჯვრის მნიშვნელობაზე. როდესაც წმინდა ჯვარს თაყვანსა ვცემთ, ამით თვით ღმერთსა ვცემთ თაყვანს, რადგან ჯვარი არის თვით ღმერთის, ყოვლადწმინდა სამების ნიშანი და სიმბოლო. ამაზე მეტყველებენ ჩვენი საეკლესიო ლოცვები და საგალობლები, სადაც ნათქვამია, რომ ჯვარი არის სამგვამოვანი ღმერთის ხატი.

მაშასადამე, როდესაც ლოცვებში წმინდა ჯვარს მივმართავთ, ჩვენ მივმართავთ მას, როგორც წმინდა სამების სიმბოლოს და ნიშანს.

რატომ არის ასე? – იმიტომ, რომ ღმერთი არის სიყვარული, ყოვლადწმინდა სამება არის მამა ღმერთის სიყვარული ძე ღმერთისადმი, მამა ღმერთისა და ძე ღმერთის სიყვარული სულიწმინდა ღმერთისადმი, ეს არის ერთ ღმერთში სამი ჰიპოსტასის ურთიერთსიყვარული.

ამ საღვთო სიყვარულით შექმნილ სამყაროში მამა ღმერთი აგზავნის თავის მხოლოდშობილ ძეს, ძე ღმერთს, რომელიც ცხოვრობს ამ დედამიწაზე, როგორც ადამიანი, როგორც ძე ღმერთი და ცხოვრობს ისეთი ცხოვრებით, რომელიც ცხადად წარმოაჩენს ღმერთის სიყვარულს კაცობრიობისა და ყოველი ადამიანისადმი. მან სრულად შესწირა თავისი თავი ადამიანის მსახურებას, ადამიანისა და ღმერთის სიყვარულს. სწორედ ამიტომ არის ჯვარი ასეთი ცხადი ნიშანი საღვთო სიყვარულისა. ამიტომ, როდესაც თაყვანსა ვცემთ წმინდა ჯვარს, ხეს ან ფიცარს კი არ ვეთაყვანებით, არამედ – თვით ყოვლადწმინდა სამებას, ღმერთს, რომელიც არის სიყვარული.

უფალმა იესო ქრისტემ მოგვცა მცნება, რომ ავიღოთ ჩვენი ჯვარი და ასე ვიაროთ ამ ცხოვრებაში. ე. ი. მხოლოდ ის შეძლებს იყოს ქრისტიანი, ვინც თავის ჯვარს აიღებს და ქრისტეს შეუდგება. ეს ჯვარი არის სიყვარულის ჯვარი, ძმებო და დებო, ღვთისა და ადამიანის თავგანწირული სიყვარულის ჯვარი, რადგან სხვანაირი სიყვარული არც არსებობს, ნამდვილი სიყვარული მხოლოდ თავგანწირვას გულისხმობს. სიყვარულის აზრი და მთელი სიხარული მისი მდგომარეობს ამ თავგანწირვაში. სწორედ ასეთი უნდა იყოს ჩვენი სიყვარული ღვთისა და ადამიანისადმი; სწორედ ასეთი სიყვარულით შეიძლება ვცხონდეთ; მხოლოდ ასეთი სიყვარულით შეიძლება ჩვენი ჯვარი ავიღოთ და ვიაროთ ამ ცხოვრების გზაზე.

წმინდა ჯვარს აქვს დიდი ძალა. უფალმა ინება, რომ ჯვრიდან მოგვცეს საღვთო ძალა. როდესაც წმინდა ჯვარს ვემთხვევით, ჩვენ გვეძლევა უფლისგან ეს ძალა, რომელიც გვაძლიერებს, გვეხმარება ამ ცხოვრებაში, ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში, გვეხმარება ღვთისა და ადამიანისადმი სიყვარულში. ეს უნდა გვახსოვდეს ყოველთვის და ვიცოდეთ. ამიტომ დღეს,როდესაც ვეამბორებით წმინდა ჯვარს, ვემთხვიოთ მას ამ განწყობით, დიდი მოწიწებით,ღვთისადმი მადლიერებით და იმ საღვთო ძალის რწმენით, რომელიც გვეძლევა ჯვრიდან და რომელიც გვაძლიერებს და გვაცხონებს.ძვირფასო ძმებო და დებო, თქვენ იცით, რომ ჯვართამაღლებას დაემთხვა ძალიან მძიმე დღე ჩვენი ქვეყნისთვის. დღეს შესრულდა 32 წელი სოხუმის დაცემიდან. ვიხსენებთ ამ ტრაგიკულ, საშინელ ომს, რომელსაც მოჰყვა ათი ათასზე მეტი ადამიანის სიკვდილი, ასობით ათასი ადამიანის განდევნა თავისი მიწა-წყლიდან, სახლებიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველია, ანუ ეთნიკური ნიშნით მოხდა მათი განდევნა.

დღეს გადავიხდით პანაშვიდს, სადაც მოვიხსენებთ დაღუპულთა სულებს, როგორც ქართველებს, ასევე აფხაზებს, ასევე ცხინვალის რეგიონში დაღუპულებსაც, ჩვენს ძმებს და დებს.

იმედი გვაქვს, რომ ჯვრის ძალით და მადლით მოხდება ჩვენი დევნილების სახლებში დაბრუნება, აღდგება ის საუკუნოვანი ძმობა ჩვენსა და აფხაზებსა და ოსებს შორის და მოვესწრებით გამთლიანებულ და გაძლიერებულ საქართველოს.“

ლია ბარათი

„ამონარიდი, სისხლით, გულიდან!“

ავტორი

თქვენ როგორ ფიქრობთ, ხომ არ ითხოვს,
ბედი თანმდევი,
გულის ფიცარზე, უნდობლობის, წაშლას ნაჭდევის?
დაწყლულებულის დრო და ჟამის კატაკომბებით,
უაზრობიდან ამოზრდილი პოლიტზომბებით.
გაოგნებულის – ძველის ნგრევის ციებ-ცხელებით,
გაოცებულის – ჯერ შეუცნობ, ახლის შენებით!
რომ წარსდგეს ნება სამსჯავროზე ღირსის ხალათით,
და წარმოსახვა იყოს, მართლაც, წრფელი ბარათი!

ალეგორიას, უნარების კურსის დაშვებით,
უფრო იოლად გაივლიან, ალბათ, ბავშვები.
და ამ ყველაფერს, რომ გავმართავთ, როგორც ბაირაღს,
გამვლელი გვეტყვის – არ მოგცლიათ, მართლა, კაი, რა!
და, დაუმატებს, – თქვენ, მანდ, ცოტას, ხომ არ ახურებთ,
ასე, დღედაღამ, ბარაბანზე, რომ აბრახუნებთ!

აბა, გამომვლელს, რაში აწყობს გამოსარჩლება,
რა ენაღვლება, სამუდამოდ თუ აქ დარჩება!
მაგრამ ჩვენს ბავშვებს იმად დაჰყვათ არსი ბავშვების,
ქარიშხალშიც კი იმედი აქვთ აფრის აშვების.
დიდებს რა უჭირთ, ეხერხებათ ფლირტი ლაგამით,
ოღონდაც, ჯიბე სავსე ჰქონდეთ, თუნდაც, ნაგავით!

ისტორიაზე მეტად უღირთ გეოგრაფია,
ჩანჩქერის ქუხილს ურჩევნიათ უხმო ლაფია!
უყვართ პლანეტის მიჭრა-მოჭრა ათასგვარ ნაჭრად.
ზოგან ედემად, ზოგან ჯუნგლად და ზოგან, სანგრად!
მშრალი ულუფით დაპურება კაცობრიობის,
ნათელ იობის ჩანაცვლება ბნელი იობით!
სხვის... გულზე? არა! სხვის ბალიშზე თავის დადება,
ღვთის ქმნილი ხატის ეშმას ხატად გამოცხადება!

ახლა, ჩამვლელი, სინდისის წილ, „სხვა რამ,“ რომ ქეჯნის,
ტაშს რომ უკრავდა გამარჯვებულ ჯარების მეჯლისს!
ვის გონებაშიც ყვავილობენ ეკალ-ბარდები,
და მგოსნის ვარდზე მეტად ხიბლავს ცეცხლის ვარდები!
ვინც ირონიით ათამაშებს ჯონის კვესაბედს,
ფეხზე ჰკიდია, რომ დაგვყურებს თავზე „მესამე“!
ცივად ჩაგვივლის, გულში იტყვის – დროის ფორია,
ბუტაფორიებს რაღად უნდათ „ბუტაფორია“!
ვიღას სჭირდება არსებითის არსის ლოგიკა,
ფასი დაედო, როცა ომის ეკონომიკას!

თუმც, საჩოთირო, აქ მაინც გვაქვს ერთი დეტალი,
ზომა და წონა ზაფრანისფრად ბზინავ მეტალის!
ჩანს, რომ უნიფხვო, მალე დენდებს გახდის უნახავს,
მძინარ ევროპას აზია ცხვირს ამოუნაყავს!
მით უფრო, როცა ჩინურ ძეხვზე ევროფისოებს,
სული მიუდით, პოლიტმადით „უსინდისოებს.“
თუმცა, ვინ იცის, არსებითად, საქმე რაშია?
რადგან, გულდასმით, ქექვა უყვართ, სხვის ბოსტანშიაც!

იქნებ შეიგრძნეს გემო, კიდეც, ჩვენი ჭვიშტარის,
ისიც იციან, რომ ღია გვაქვს, მუდამ ჭიშკარი.
იციან, ჩვენთვის, რომ ერთია მტერიც, მოყვარეც,
გულს ვუშლით უცხოს და სულს ვაცლით მოყვასს,
მოგვარეს!

იმად, გთავაზობთ ამონარიდს, სისხლით, გულიდან,
დროა, ამოვძვრეთ სხვის დაბანგულ საბარგულიდან!
დავფიქრდეთ, ვიდრე... ვიდრე სულ მთლად,
არ არის გვიან,
ნუ გავაყოლებთ, ჩვენს ბედს, ბრმად,
სხვის რულეტის ტრიალს.
ვინ იცის, როდის გაიღება „ედემის“კარი,
ვინ არის ამის გამომთვლელი ან გულთმისანი?!

იქნებ ის? მამაპაპისეულ,წუხელ, შენ სახლთან,
მზაკვრობითა და ფარულ ხერხით, რომ დაგისახლდა?
ვინც მალე, ალბათ, უწყინარი ბაი-ბაიდან,
ჯერ გეტყვის: ცოტა ჩაიჩოჩე, მერე, ჰაიდა!
ნუ გეღიმება, შენ გგონია, ვერ გაბედავენ?
აგე, გახედე, ოქროს ნალით, ვირებს ჭედავენ!

ცარიელ გობთან რატომ გჯერა „ღუტუ-ღუტუსი,“
„მსოფლიოს მეფის,“ როცა ბედს სწყვეტს
სამი ბრუტუსი!

ასეთ დროს, ნეტა, ვინ დადგება, მითხარით, უქმად?
წამს მივუხურავ მუზას კარებს, დავტოვებ ლუკმას.
და ამ ნაბიჯით, რადგან არ მაქვს სულთან რიდობა,
ნუნისს ვერ ვკადრებ, სულში ვაგებ რწმენის კიდობანს!

აქ თავს მოვუყრი ერთიანად, დიდებს, პატარებს,
ვინც მიიჩქარის იქით, პარიზს, აქეთ, ნატანებს!
დატვირთულია, ვინც შეუცნობ არსთა ფუნქციით,
ცვლის ოქტომბრისას, „მშვიდობიან“ რევოლუციით!
განუსხვავებლად, ლიბერალებს, კონსერვატორებს,
ბუნკერის მდგმურებს, უფლისწულებს და მათ პატრონებს!

და დავიძრებით არა ზიზღით, ანდა დავებით,
ზევიდან მზირალ, ან, მორჩილად, დახრილ თავებით,
მზიურ „ლილეთი,“ არა მკაცრ და მსუსხავმარშებით,
პიკასოს მტრედის მოტანილი უფლის საშვებით!

თავს არ შეგაწყენთ სტატისტიკურ მონაცემებით,
ვინ ლმობიერთაა აქ მოსული, ვინ დაჩემებით.
ჯერ ჩვენს მეზობელს მივადგებით, განგების ნდომით,
დავაკაკუნებ, თუ რას ფიქრობს მესამე რომი!
ჩინურ კედელზე გადასვლა არ გაგვიჭირდება,
უძველეს სიბრძნეს გააზრება, ვიცი, სჭირდება.
თეორ სახლშიც მივალთ, ცას გავხედავ, რა ამინდია?
თან შევახსენებ – მეგობრობა გზა და ხიდია!
ევროპას გვიან ვინახულებთ, მაინც, აქვეა,
პარნასზე მყოფი, გულს ძლიერ მტკენს, დღეს,
რომ თავქვეა!

მერე, გზადაგზა, შემოვივლით, სევდით, ხუტორებს,
ზეთისხილის რტოს დავურიგებ ომის „რუპორებს!“
და, რწმენით, ფუჭად არ ჩაივლის, ეს ჩემი თნევა,
უფრო თამამად გავიზომავ, ხვალ დილით წნევას...
სხვა რაღა გითხრათ, სანამ, მართლაც, არ არის გვიან,
ნუ გავაყოლებთ ჩვენს ბედს, სხვების რულეტის ტრიალს!

გულწრფელად,
დადუნ თურქაძე
20 სექტემბერი, 2025 წელი

დადუნ თურქაძეს

„საქართველოს რესპუბლიკის“ №114-ში დაბეჭდილი „შეგონების“ გამო!

მე გამაკვირვა
შენი ლექსის
სიდრმემ, სიწრფელემ!
შეგონებანი –
ილიასთან შესადარები!
ვისაც არ ესმის,
გავუშიფროთ
რა თქვი, პოეტო –
ერთად ვიქნებით? –
დაგვიდგება
თბილი დარები!
საქართველოის გადარჩენის
შესადარები...

ვლადიმერ ჭანტურიძე

ზელენსკი უკრაინელებს დიპლომატიური სცენარისთვის ამზადებს...

უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის მიერ AXIOS-თან გაკეთებულმა განცხადებამ, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება მომავალში დიპლომატიური გზითაც არის შესაძლებელი, ახალი შეკითხვები გააჩინა როგორც უკრაინაში, ისე საერთაშორისო საზოგადოებაში. ერთი მხრივ, ეს გზავნილი შეიძლება განიმარტოს, როგორც ალტერნატიული სცენარისთვის მზადება ომის გაგრძელების პარალელურად, ხოლო მეორე მხრივ, ესაა დასავლეთისკენ მიმართული სიგნალი, რომ კიევი კომპრომისისთვის მზად არის.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ეს განცხადება მკვეთრად განსხვავდება ზელენსკის წინა რიტორიკისგან, როცა ის ხაზს უსვამდა მხოლოდ სამხედრო გამარჯვების აუცილებლობას. ახლა კი ჩნდება შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტი ცდილობს, საზოგადოება მოამზადოს უფრო გრძელვადიანი და რთული პროცესისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსგავსი განცხადება შეიძლება იქცეს მოლაპარაკებების მომზადებად ამერიკასთან და სხვა პარტნიორებთან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვაშინგტონში, დონალდ ტრამპის გუნდის ახალი მიდგომები იკვეთება.

ზელენსკის გზავნილის ფონზე, აქტუალური ხდება კითხვა – რას გულისხმობს დიპლომატიური სცენარი და ხომ არ არის ეს პირველი სიგნალი, რომ კიევი ომის დასრულების სხვადასხვა გზას განიხილავს.

„დღეევანდელ ვითარებას თუ შევხედავთ, ხვალ თუ ცეცხლი შეწყდება, თუ ჩვენ ძალა არ გვექნება, რომ ეს ტერიტორიები დავიბრუნოთ, მაშინ მზად ვართ, ამაზე ვისაუბროთ. მზად ვართ, რომ ისინი მომავალში დავიბრუნოთ დიპლომატიური გზით და არა იარაღით. ვფიქრობ, ეს ყველასთვის კარგი კომპრომისია. ყველა ამბობს, რომ ასეთი საკითხები ახლა დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს“, – ამბობს **ზელენსკი.**

კითხვაზე – „გჯერათ, რომ პრეზიდენტ ტრამპს საბოლოოდ სურს უკრაინის გამარჯვება“, უკრაინის ლიდერმა უპასუხა:

„დიახ, მჯერა. ვფიქრობ, პრეზიდენტმა ტრამპმა გააცნობიერა, რომ პუტინი მას წარმატებას არ მოუტანს. ასევე, საზოგადოება, ამერიკელი საზოგადოება, ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია შეერთებული შტატების პრეზიდენტისთვის. ამერიკელი საზოგადოება პატივს არ სცემს და არ ენდობა პუტინს და ისინი ძირითადად არ თვლიან, რომ მას ამ ომის დასრულება სურს“, – ამბობს **ზელენსკი.**

საგულისხმოა, რომ ტრამპის რიტორიკა მართლაც შეიცვალა. The Wall Street Journal-ის ინფორმაციით, ბოლო დღეებში, ის კონსულტაციებს გადიოდა გუნდის წევრებთან, რომლებიც რუსეთთან მიმართებაში უფრო მკაცრ პოზიციას იზიარებენ. თუმცა, გაუგებარია ტრამპის განცხადება, სადაც ის ამბობს: **„უკრაინული ჯარები დამთავრდებოდნენ, ეს რომ ჩემი ომი ყოფილიყო, ჩვენ – ამერიკა, ერთ კვირაში გავიმარჯვებდით“,** – განაცხადა ტრამპმა Fox News-ის პირდაპირ ეთერში.

ეს გზავნილი აჩვენებს, რომ ვაშინგტონში დებატები გრძელდება და მიუხედავად ტრამპის რიტორიკის ცვლილებისა, მისი ადმინისტრაცია ჯერჯერობით არ აჩქარებს პოლიტიკის სერიოზულ გადახედვას – იარაღის მიწოდება გრძელდება, თუმცა კვლავ შეზღუდულია მისი გამოყენება რუსეთის სუვერენულ ტერიტორიაზე. მოსკოვს პირდაპირი ოფიციალური პასუხი არ გაუცია ზელენსკის განცხადებაზე. თუმცა, კრემლის პროპაგანდისტულ არხებში გაჟღერდა, რომ მსგავსი განცხადებები უკრაინის სისუსტეზე მეტყველებს და კიევი მზად არის, დათმობებზე წავიდეს. რუსი პოლიტიკოსები ცდილობენ, წარმოაჩინონ, რომ „დიპლომატიური გზა“ ვერ იმუშავებს, თუ უკრაინა რეალურად არ მიიღებს ოკუპირებული ტერიტორიების სტატუს-კვოს.

ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი for.ge-თან ამბობს, რომ დონალდ ტრამპის ორაზროვანი რიტორიკა და ევროპელების ბოლომდე ორჭოფობა უკრაინის უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ზელენსკისთვის იმის ნიშანია, რომ მან ალტერნატიულ სცენარებზე უნდა იფიქროს.

„ტრამპი ძალიან სწრაფად იცვლის პოზიციებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ხან ერთ განცხადებას აკეთებს და ხან – მეორეს. თითქოს, ის ახლა ზელენსკის „მწვანე შუქს“ უნთებს იმისთვის, რომ მათ იბრძოლონ და ტერიტორიული მთლიანობა აღადგინონ. თუმცა, ერთია ტრამპის განცხადებები და მეორე, როგორია რეალობა. ჩვენ ვხედავთ, რომ ტრამპი აცხადებს, ამაში უკრაინას ევროპა უნდა დაეხმაროს და ის არ ამბობს, რომ პასუხისმგებლობას ამერიკა იღებს. ტრამპი ამბობს, რომ ის ამერიკულ იარაღს ნატოს მიჰყიდის და თუ უნდა, ნატომ ეს იარაღი მათ გადასცეს. პირდაპირი დახმარებაც რომ იყოს, რეალობა ისეთია, ამ ეტაპზე, უკრაინას არ გააჩნია იმის ძალა, რომ სამხედრო გზით რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების 20% დაიბრუნოს.

დღესაც არ არის იმის წინა პირობები, რომ უკრაინამ სამხედრო გზით დაიბრუნოს ეს ტერიტორიები – ამის შესაძლებლობა ნამდვილად არ არის. სამწუხაროდ, ერთია დასავლეთში რას ამბობენ და მეორე – რას აკეთებენ რეალურად. უბრალოდ, თავად უკრაინამ დაიწყო თავისი შორსმსროლელი კამიკაძე დრონებით რუსეთის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნებისა და საზღვაო პორტების დაბომბვა. ეს რუსეთს გარკვეულ პრობლემებს უქმნის, მაგრამ მუნებრივი აირისა და ნავთობის გაყიდვის შეზღუდვა თუ არ მოხდა, ეს მთლად დიდი შვება უკრაინისთვის არ არის“, – ამბობს **ალადაშვილი.**

მისივე თქმით, გარდა ამისა, აუცილებელია რუსეთის SWIFT-დან გათიშვა, რაც არ ხდება, რადგან თავად დასავლეთს შეუქმნის ეს პრობლემებს. დასავლელი ბიზნესმენები ცდილობენ, ამ სანქციებს გვერდი აუარონ და რაღაც „შავი ხვრელები“ იპოვონ.

„ამ ეტაპზე, უკრაინისთვის ახლა ყველაზე მისაღები ფრონტის ხაზის გაყინვაა, მაგრამ პუტინს ეს არ აწყობს და სანამ შესწევს ძალა, ამ ომს გააგრძელებს, თუნდაც დიდი მსხვერპლის ხარჯზე. რაც შეეხება ტრამპს, არ არის გამორიცხული, ისევ 180 გრადუსით შემობრუნდეს და სხვა რამ განაცხადოს. დონალდ ტრამპი არაპროგნოზირებადი პიროვნებაა, ამ ეტაპზე, ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ რუსეთის გაყინულ აქტივებს უკრაინას მისცემენ. ამით ის შეძლებს თავდაცვითი ომის გაგრძელებას. ის, რომ მან მარტომ შეძლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, შეუძლებელია, თუ თავად რუსეთში არ მოხდა რაღაც სასწაული და თავად რუსეთის იმპერია არ ჩამოიშალა“, – ამბობს **ალადაშვილი.**

ლიკა ბერიკაშვილი

ხაზარაძე-გახარიას მემორანდუმი

როგორც „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ალტერნატივა

(მეოთხე გვერდიდან)

თბილისის მერობის კანდიდატი ირაკლი პუპრაძე არის ახალგაზრდა, კეთილსინდისიერი პოლიტიკოსი – სუფთა წარსულითა და რეპუტაციით, რომელიც ყოველთვის იდგა ბრძოლის წინა ხაზებზე სხვადასხვა რეჟიმთან ბრძოლაში. დარწმუნებულები ვართ, საერთო გუნდთან ერთად, ირაკლი იქნება თბილისის ღირსეული, კეთილსინდისიერი მერი, რომლისთვისაც მთავარი საზრუნავი თითოეული თბილისელის უკეთესი ცხოვრება იქნება. საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი გიორგი შარაშიძე არის გამოცდილი პროფესიონალი, რომელიც თავისი პრინციპულობით ყოველთვის იდგა და იდგება თბილისის ინტერესების სადარაჯოზე. ეს მემორანდუმი აღმოჩნდა კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია ორი, განსხვავებული იდენტობის მქონე პარტიას საქმეზე ორიენტირებული თანამშრომლობა“, – ნათქვამია განცხადებაში.

„ხალხის ძალის“ დეპუტატის **გურამ მაჭარაშვილის** თქმით, რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო აგონიაში არიან რევოლუციონერი „ნაცებიც“ და არჩევნებში მონაწილე „ნაცებიც“.

„ერთი მეორეზე უარეს განცხადებებს აკეთებენ. ის, რაც ელისაშვილმა თქვა და მერე კუპრაძემ დაამატა, რა თქმა უნდა, ფანტაზიებსაც კი აღემატება. გამოდის, რომ საზოგადოებას ეუბნება, მათ შორის, მერიებში მომუშავე ადამიანებს, რომ ამირჩიეთ მერად და მერე, თქვენ გაფიცვის საშუალებას მოგცემთო. ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოებას შეპირდეს, თუ კალაძე, ვთქვათ, ერთ სკვერს გააკეთებს, მეორს გავაკეთებ და ა.შ., ამბობს, ყველაფერს გავაჩერებო. ეს ხალხი ამბობს, ჩვენ არამც თუ უკეთესად გავაკეთებთ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, არამედ, საერთოდ გავაჩერებთ იმას, რაც არისო. ელისაშვილს წამოსცდა კიდეც, რომ გავიღვიძოთ, იქნებ, კუპრაძე იყოს მერიო. მერე რომ გაივიძებენ, კალაძე დახვდებათ მერად არჩეული“, – განაცხადა **მაჭარაშვილმა.**

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** For.ge-სთან ინტერვიუში ამბობს, რომ მემორანდუმის გაფორმება, როგორც პირველი ნაბიჯი, სწორია. ახლა, მთავარია, რამდენად გაჰყვება ამ ძალას ე.წ. შუაშისტური ამომრჩეველი და რამდენად გახდება ეს გაერთიანება მესამე, ალტერნატიული ძალა.

„მემორანდუმი, რომელიც გაფორმდა, არის პირველი ნაბიჯი. ეს, ჯერჯერობით, რამეს კარდინალურად ვერ ცვლის, უბრალოდ, არის ამის განზრახვა და თუ მოხდება ამ ორი ძალის გაერთიანება და გამსხვილება, რა თქმა უნდა, ეს იქნება ალტერნატივა, ყოველ შემთხვევაში, იმ ჯგუფისა, რომელიც არჩევნებს მოიკოტს უცხადებს და მითიურ, მშვიდობიან რევოლუციაზე საუბრობს. ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელიც არაფრის გარანტიას არ იძლევა, რადგან ამას სჭირდება მეთოდური საქმიანობა, რის საფუძველზეც, შესაძლოა, მოიტანოს შედეგი.

თუმცა, ეს წაახალისებს იმ ამომრჩეველს, რომელიც ცალკე გახარიას უჭერდა მხარს და ცალკე – „ლელოს“, მათი ამომრჩევლის მობილიზებას ნამდვილად მოახდენს. რამდენად წაჰყვება მას ნეიტრალური ამომრჩეველი, რომელსაც არც „ნაცმოძრაობა“ მოსწონს და არც „ქართული ოცნება“, კითხვის ნიშანი სწორედ მანდ ჩნდება. პირველი ნაბიჯი სწორია, დანარჩენი – დროის და მუშაობის საქმეა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ე.წ. შუაშისტური ამომრჩეველი თავ-პირის მტვრევით გაიქცევა და ხმას მისცემს, რადგან სამუშაო ბევრია. თუმცა, პერსპექტივა არის, პოტენციალიც არის და თუ სწორად იმუშავებენ, ან სწორად ჩამოყალიბდებიან, იმის პერსპექტივა ნამდვილად არსებობს, რომ გაჩნდეს მესამე ძალა“, – განგვიცხადა **ვახტანგ ძაბირაძემ.**

ნიკო ჩოხელი

გულს სიყვარული აცოცხლებს...

...კვირას, 24 აგვისტოს, ქაშუეთის ტაძრის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიაზე შამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. საზოგადოება უკანასკნელ გზაზე აცილებდა დიდებულ ქართველ კომპოზიტორსა და მომღერალს **მამუკა ჩარკვიანს.**

ერთგვარად სიმბოლური იყო ის ფაქტიც, რომ დაკრძალვის დღე მამუკას დაბადების დღეს დაემთხვა, იგი 69 წლის ასაკში გარდაიცვალა. პირადად ჩემთვის ისიც სიმბოლური აღმოჩნდა, რომ მამამისივით მამუკას მხურვალე გულმაც პაპანაქება აგვისტოში შეწყვიტა ძგერა.

მადლიერი მსმენელები, ახლობლები, მეგობრები, ნათესავები, პოპულარული სახეები თუ სრულიად უცნობი ადამიანები მის ნეშტს ხანგრძლივი ტაშით ემშვიდობებოდნენ.

საბურთალოს სასაფლაოსკენ დაძრულ პროცესიას კიდევ დიდხანს ესმოდა ამ ბრწყინვალე კომპოზიტორის სიმღერები, რომლებიც ასე გვიყვარდა ყველას. ამ აგრესიულ, გამომშრალ, გამოფიტულ ეპოქაში მამუკამ ჩვენი ცრემლიც უხვად გაიყოლია.

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მისმა მუსიკამ იმ დღეს სრულიად საქართველო გააერთიანა. ეს ორმოცი დღეც უსწრაფესად გავიდა...

მშვიდობით არა, ნახვამდის...

„ჩამოთოვა იიისევ!..“

წლეგის წინათ, როცა ირაკლი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ასეთი რამ ჩამიწერია დღიურში: – ისეთი სასოწარკვეთილი ხმით მღერის ირაკლი ჩარკვიანი, ისეთი დეკადანსია მის სულში, ისეთი აუხდენელია ოცნება, წინასწარ იცის, განწირულია ეს ინტიმი. დიდი-დიდი რამდენიმე წელი ეყოს, იკმაროს ეს სიყვარული. კი არ მღერის, თითქოს მომავლის ბგერებს გუდავს, გარეთ გამოსვლას, თავისუფლებაში ყოფნას არ აცლის. შიგნით, სულის შიდა გამოქვაბულებში აბრუნებს და სხვას კი არა, უწყლო ჭაში (ღრმა ორმოში) ჩაგდებულ საკუთარ თავს დაჰყურებს. მას არა სწამს ბიბლიური ჭების და იმ წყლის, რომლის დალევის შემდეგაც არასოდეს გასტანჯავს წყურვილი. მას მხოლოდ საკუთარი წყლის (მარაგის) იმედი აქვს და კაიფში მოსული ფრთიანი დემონები ანგელოზები ჰგონია.

ასეთი სასოწარმკვეთი წინათგრძნობით ვერ მღერის ვერავინ ქართულ შოუ-ბიზნესში. ქართულ მოტივში, მელოდიაში, ჰარმონიაში ყველაფერია დეკადანსის გარდა. ირაკლი ჩარკვიანმა ქართულ სიმღერაში სასოწარკვეთას, როგორც გამხმარ კაქტუსს წყალი დაალევინა და მელოდია აჩუქა, მოასულიერა.

ირაკლი განსაკუთრებით თინეიჯერებს უყვარდათ, ამ დარბეულ სამოთხეში, რომელსაც ოდესღაც სამშობლო ერქვა სახელად. გულგატეხილ გოგო-ბიჭებს ირაკლი ჩარკვიანის ერთგვარი აგრესია ძალას მატებდა და სიმღერით გაჯერებულ მის პერფორმანსებს, როგორც ომში იარაღაყრილი ტყვეები, ღამის კლუბებში ხელებაწეულები ხვდებოდნენ.

მამუკა ჩარკვიანი კი ყველას – შვილების, მამების და ბაბუების თაობას ერთნაირად უყვარს. რადგან მამუკასთან დიდი სევდაა და არა დეკადანსი, იმედია და არა სკეფსისი, განშორებაა და არა განხეთქილება. მეტი სინათლეა („მაღლა და მაღლა“) და მიუხედავად ამღვრეული თოვლისა, მაინც სჯერა მისი სიწმინდის.

მერაბ სეფაშვილთან ერთად „მწვანე რტოებით“ მამუკა ჩარკვიანის გამოჩენა დიდ სცენაზე უსიერი ტალანებიდან გამოფრენილი მგალობლების გამოჩენას ჰგავდა. „და მომიჩრდილეეე...“ ცხოვრებისეული შუქჩრდილების ზეიმი იდგა სცენაზე. დარბაზიც ისეთი შვებით სუნთქავდა, ხასხასა კვირტის პირველი ამოსკდომა რომ აბრუებს ხოლმე ზამთარგამოვლილ თბილისს.

„მშვიდობით ააარა, ნახვამდის“... როცა ბოლო წლებში შექმნილ ამ საოცარ მელოდიას მღერის მამუკა და სიტყვა „ააარა“-ს წელავს, გრძნობ, როგორ ენანება, როგორ ვერ უშვებს ჩაკიდულ ხელს ომში დაღუპული მეგობრის ხსოვნას და ამ „ნახვამდის“-ით ანუგეშებს.

მამუკა ჩარკვიანის „მუხამბაზს“ რომ ვისმენ, „მაურჟოლებს და ტანში მზარავს“. მის გულისცემასთან ერთად, სქესად დაყოფილი სამყაროს ბაგა-ბუგიც მესმის და დედამიწის გუგუნიც. ეს არის დაფდაფვის ფონზე მარადიული მამრის ძახილი გულისსწორისადმი, სწორფერისადმი, საკუთარი ნახევრისადმი.

მისი მუსიკის ქარიშხლიან ზღვებში გასული როცა წლების მერე, ირინოლას შემდეგ, პატარა ჯანსუღი (ჯაკუნა) გამოჩნდა, ამ დიდ საჩუქართან ერთად ღმერთმა მის ოჯახში ულამაზესი სიმღერებიც ერთბაშად ჩამოთოვა. „ჩამოთოვა იიისევ...“, „თავისი დრო აქვს ყველაფერს ჩემო...“ მამუკას ყველა სიმღერას, ნებისმიერ დროში დაწერილს, გულისფერი აღევს.

პოლიტიკური ატმოსფეროს ცვლილებებს ერთი შეხედვით ინდიფერენტულად, ერთგვარი შაყირითაც უყურებს. მხურვალედ და სერიოზულად ქვეყანაში მომხდარ პროცესებსა და მოვლენებს მხოლოდ შემოქმედებითად პასუხობს. ასე დაიწერა საოცარი „ჰიმნი თავისუფლებას“ და ასე შესრულდა იგი „ქართულ ხმებთან“ ერთად, რომელიც საქართველოს არა მხოლოდ არაოფიციალურ ჰიმნად, არამედ მარადიულ გაფრთხილებადაც ექცა.

პატარა, დიდგულა ხომალდები სიმამაცის შხეფებს ისვრიან და ნაპირზე დარჩენილთა გაოცებას – **ამხელა ზღვაში პატარა ხომალდო, როგორ გაბედეო** – დაბრუნების იმედით პასუხობენ.

მამუკას ბავშვობიდან ფაფუკას ვეძახდით. თუ არ ვცდები, ავდიდ ბაბუამ შეარქვა ეს სახელი, თითქოს თავიდანვე განჭვრიტა ამ უნიჭიერესი ადამიანის ძალიან მგრძნობიარე და ადვილად მოწყვლადი ბუნება.

მამუკას ერთხელ შევეხვეწე – თავს მოუფრთხილდი-თქო და გამომიტყდა: ნუ გეშინია, ჩემი დევიზია, რაც შეიძლება მეტხანს ვიცოცხლო... კარგ რაღაცებს ვაპირებ, ისედაც დავუწერ უფალს საგალობლებს, მაგრამ ერთი 30-35 წელი კიდევ რომ მაჩუქოს, ხოტბა და სიმღერები მაშინ ნახე.

რატომღაც პრუსტის ცნობილი ანკეტიდან ერთი შეკითხვა გამახსენდა და ვკითხე: მამუ, თუ ოდესმე შეხვდებოდი ღმერთს, რას ისურვებდი, რომ მას შენთვის ეთქვა?

მამუკამ ამ შეკითხვას მთელი სერიოზულობით უპასუხა:

– შენ წინ ვდგავარ და ახლა ხომ მხედავ?! და მე ვუპასუხებდი – გხედავ, უფალო, მადლობა ღმერთს, რომ გხედავ... დანახვა ხომ ასე ადვილი არაა, პილატეს რომ უთხრა: მათ წინ ვდგავარ და ვერ მხედავენო.

ერთხელაც, თავისი მრავალგზისი ოპერაციების გამო ეტლს რომ იყო მიჯაჭვული, დამირეკა და მეუბნება: „მაკა, მომენატრეთ, თანაც ახალი სიმღერები მაქვს და არ გინდა მოგასმენინოთ?“

თითქმის ოთხსაათიანი კონცერტი მოგვიწყო ისე, რომ ვფიქრობდი, რამე არ მოუვიდეს-მეთქი. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო, დაუვიწყარი საღამო.

ვისმენდი თითქმის ჩემ წინ დაბადებულ ახალ სიმღერებს და უკვე ვიცოდი, რომ ჰიტად ქცეული მათი უმრავლესობა მალე მოივლიდა მთელ საქართველოს. გაოცებული და გახარებული ვიყავი ყველაფრით, რასაც იგი ასეთ მდგომარეობაში აკეთებდა, მისი გამძლეობით, მუსიკით, იუმორით, მისი სითბოთი, ენერგიით, მომავლის იმედით.

ამ საღამოს კიდევ ერთი მოულოდნელი გაოცება ახლდა – ჩემი შვიდი წლის უნიჭიერესი, მაგრამ უცელქესი შვილიშვილი სანდრო, რომელიც არასოდეს ჩერდება და გაკვეთილებსაც თითქმის სირბილით ამზადებს, მამუკა ჩარკვიანის უანტრაქტო, ოთხსაათიან კონცერტს, წელში გამართული ისე უსმენდა, რომ არ განძრეულა. ეს ნამდვილი სასწაული იყო! გამომშვიდობებისას მამუკასთან სურათიც გადაიღო.

მერვე სართულიდან ლიფტით რომ დავეშვით, გულმა არ მომითმინა და აშკარა შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფ სანდროს კაბინაშივე ვკითხე:

– სანდრო, მოგეწონა მამუკას სიმღერები?

ძუნწად, ორი სიტყვით მიპასუხა:

– მაგარი ვინმეა!

სახლში მისულს კი ახლა ბაბუა რომ ჩაეკითხა, კარგი იყო? ასევე ორი სიტყვით უპასუხა:

– კაკუჩ, ერთი გიტარა შენზეა.

და მე კიდევ ერთხელ გამახსენდა და მერამდენედ დავიჯერე, რომ ბავშვის ენით სამყაროში ჭეშმარიტება ღაღადებს.

გამომშვიდობებისას მამუკას კოლეგამ და მეგობარმა, თავადაც გრწყინვალე მუსიკოსმა და პიროვნებამ დათო ევგენიძემ ჟურნალისტებს ასეთი რამ უთხრა – **მამუკა ჩარკვიანის შემოქმედება საქართველოსთვის ნამდვილი საჩუქარი იყო**. ჩვენ ყველა ვეთანხმებით ამ შეფასებას, ყოველშემთხვევაში ის ადამიანები, რომლებმაც ჭეშმარიტი ჰარმონიის, სინათლის, რწმენის, სიყვარულისა და ერთსულოვნების ფასი ვიცით.

მადლობა მამუკას ამ უანგარო საჩუქრისათვის.

მაკა ჯოხაძე

ქვიშის კარიერის... მედლები

პატერსონში (საბერძნეთი) გამართულ ქვიშის ჭიდაობაში 17 და 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 14-კაციანი გუნდით იასპარეზა და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია.

განსაკუთრებით გამოსარჩევია 17-წლამდელთა გუნდი, რომელმაც ოთხ წონით კატეგორიაში ამდენივე მედალი მოიპოვა.

მსოფლიო ჩემპიონობამდე ნაბიჯი დააკლდათ **რატი ბერიძეს** (60 კგ), **ნურადინ მუსტაფაევს** (80 კგ) და **ჯონი შაორშაძეს** (90 კგ), რომლებიც სამწუხაროდ, ოქროს მედლისთვის შეხვედრაში დამარცხდნენ, შესაბამისად, უკრაინელ, აზერბაიჯანელ და ირანელ მოწინააღმდეგეებთან და კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდნენ.

ამავე ასაკობრივ ჯგუფში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **ბიძინა ჯინჭარაძემ** (70 კგ). აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებმა სამი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედლით გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე ორი ფალავნით იყო წარმოდგენილი და მათ შორის, **ზურაბ მუმლაძემ** (80 კგ) ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში მოლდოველ გაბრიელ ოუოგთან დამარცხდა და ვერცხლის მედლით დაასრულა გამოსვლა.

ჭიჭული სჭუმრით

გივი თოდუას ტრიუმფი

თბილისის სპორტის სასახლეში პროფესიონალური კრივის შოუ შედგა. საღამოს მთავარ ღონისძიებაზე 4 ბრძოლა გაიმართა, სადაც როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ჩემპიონის ქამარი გათამაშდა.

პირველი ბრძოლა 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლევან იანქოშვილსა და აკაკი კაკრიაშვილს შორის სანახაობრივი გამოდგა, ჩემპიონის ქამარი კი **იანქოშვილს** დარჩა. ახალგაზრდა სპორტსმენმა საქართველოს ჩემპიონობა პირველად იზეიმა.

დარჩენილ სამ ბრძოლაში გამარჯვებულის ვინაობა ქართველ და უცხოელ მოკრივეებს შორის გაირკვა.

76 კილოგრამში **იაგო კიზირიამ** მოლდოველ რუსლან სუდარევს, ხოლო 90 კილოგრამში **ირაკლი ალანიძემ** იტალიელ ლეონარდო ტურკეტის მოუგო.

რაც შეეხება საღამოს მთავარ დაპირისპირებას, – 72.5 კილოგრამ წონით კატეგორიაში **გივი თოდუამ** მსოფლიო ჩემპიონის ქამარი მეტოქეს არ დაუთმო. მან ტაილანდელ ფიმირ ჩონკუნს მოუგო. მთავარი ბრძოლა 12-რაუნდიანი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ტაილანდელმა სპორტსმენმა ქართველის შეტევებს ვერ გაუძლო და ჩემპიონის ვინაობა 7 რაუნდში გაირკვა. ამრიგად, ჩვენს ქვეყანას კრივში ახალი მსოფლიო ჩემპიონი ჰყავს.

პროფესიონალური კრივის შოუს **ლენოქს ლუისის** სახით სპეციალური სტუმარი ჰყავდა. ლეგენდარული მოკრივე თბილისში 2 დღის წინათ ჩამოვიდა და ღონისძიებას დაესწრო. ლენოქს ლუისი ოლიმპიური ჩემპიონი და სამგზის მსოფლიო ჩემპიონია, რომელსაც კარიერაში 45-დან 42 ბრძოლა აქვს მოგებული.

გამოსარჩევია მისი დაპირისპირება **მაიკ ტაისონთან,** რომელიც მერვე რაუნდში დაანოკაუტა და ამ მოგებამ მისი სტატუსი, ყოფილიყო ლეგენდა, საბოლოოდ გაამყარა. ის მხოლოდ 2-ჯერ დამარცხდა და ერთხელ ფრე დაფიქსირდა. ლეგენდარული მოკრივე, თბილისში ჩატარებული ღონისძიებით მოხიბლული დარჩა.

ეს კვარაა — საქართველოს გმირი!

საფრანგეთის ლიგა-1-ის იუთუბის არხმა პსჟ-ს ვარსკვლავ ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ ძალზე საინტერესო დოკუმენტური ფილმი გამოაქვეყნა სათაურით: „ხვიჩა კვარაცხელია – საქართველოს გმირი“.

ქართველი ფეხბურთელი ფილმში იხსენებს ბავშვობას, საუბრობს მიზნებზე და მის შესახებ სხვებიც საუბრობენ, მაგალითად – საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვილი სანიოლი.**

„თავიდანვე ჩანდა, რომ ის განსხვავებული მოთამაშე იყო განსხვავებული სტილით. ის ფრანკ რიბერის კლონია და ძალიან სწრაფად მოძრაობს ბურთით, როგორც ლიონელ მესი. როდესაც მოედანზეა, მაქვს განცდა, რომ სხვა ეპოქის ფეხბურთელს ვხედავ. მინდორზე მისი ყოფნა კარგია შედეგის მისაღწევად და არა ინსტაგრამის ფოტოებისთვის“ – ამბობს ფრანგი.

ხვიჩა კვარაცხელია: „ალბათ, იმით უნდა დავიწყო, რომ ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა და ფეხბურთის თამაშით უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. მთელი ბავშვობა ვოცნებობდი იმაზე, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი გავმხდარიყავი და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ეს გამომივიდა. დიახ, ფეხბურთი ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის და საერთოდ ვერ წარმომიდგენია, როგორი ადამიანი ვიქნებოდი მის გარეშე.

ბედნიერი ბავშვობა გავატარე, რისთვისაც ღმერთის მადლიერი ვარ. ჩემი აზრით, ბავშვობის წლები ძალზე მნიშვნელოვანია ყველასათვის. მაშინ საერთოდ არ მჭირდებოდა მეგობართა მოძებნა და ფიქრი, თუ სად იქნებოდნენ ისინი, რადგან ვიცოდი, რომ სტადიონზე იყვნენ და ფეხბურთი უნდა გვეთამაშა.

როდესაც ჩემპიონთა ლიგასა და ტიტულებს იგებ, რა თქმა უნდა, წარსულს გადაავლებ თვალს და დილემის წინაშე დგები, საიდან და როგორ დაიწყო ეს ყველაფერი.

იმ დროში ფეხბურთელთა ვიდეოები ხელმისაწვდომი თითქმის არც იყო. დედას მამაჩემის თამაშის ვიდეოფირები ჰქონდა შენახული და როცა მათ ვუყურებდი, ეს ჩემთვის რაღაც სასწაული გახლდათ, თანაც სიამაყით ვამბობდი, რომ მამაჩემი საუკეთესოა, ყოველ შემთხვევაში ასეთი აღქმა მქონდა. ის მითითებებს მაძლევდა და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ისიც ფეხბურთელი იყო და შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთი გენეტიკაში გვაქვს. ეს ყველაფერი მეტად სასიამოვნოა.

თანამედროვე ფეხბურთელისთვის დაცვაში თამაში ძალზე მნიშვნელოვანია. გავაცნობიერე, რომ თავდამსხმელს, რომელიც დაცვაშიც კარგად თამაშობს, დღევანდელ ფეხბურთში წარმატების მიღწევის უფრო მეტი შანსი აქვს. ეს ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა. იმას, რასაც მოედანზე და მის გარეთ ვაკეთებ, ყველა ყურადღებით აკვირდება და ამიტომაც ვცდილობ ქართველი ახალგაზრდებისთვის მისაბაძი მაგალითი ვიყო. ეს ჩემთვის პრივილეგიაა“.

სხვათა შორის, იმავე პერიოდში თავის საჩემპიონო – 2022-2023 წლების სეზონზე დოკუმენტური ფილმი ნაპოლიმაც გამოაქვეყნა. მასში შესულია კადრები, თუ როგორ ემშვიდობება კვარა სკუდეტოს მომგებ გუნდს. ქართველი ფეხბურთელი ყოფილ თანაკლუბელთა წინაშე სიტყვით გამოვიდა, შემდეგ **ანტონიო კონტეს** გადაეხვია და წამოვიდა.

„ვამაყობ, რომ ამ გუნდის ნაწილი ვიყავი. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, ბიჭებო. მიყვარხართ. ჩემთვის მეგობრები კი არა, ძმები ხართ, ბიჭებო“ – და ხვიჩას აუდიტორიამ აპლოდისმენტები შეაგება.

ფილმები ფილმებად, მაგრამ კვარას საფეხბურთო რუტინა კალენდრის მიხედვით გრძელდება და მორიგი ტიტულებისკენ ტრავმების თანხლებით მიიწევს წინ.

ამჯერად არა მხოლოდ ხვიჩას, არამედ მთლიანად პსჟ-ს სავსე ლაზარეთზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება, რადგან დაშავებულნი არიან ოქროს ბურთის მფლობელი დემბელე, დუე, ნეიმარი, რეისი, ვიტინია და მარკინიოსი, ახალგამოჯანმრთელებული ბარკოლა კი ოსერთან შინ 2:0 მოგებულ შეხვედრაში მინდორზე შესვენების შემდეგ სწორედ ქართველი ლიდერის შემცვლელად შევიდა, რომელმაც ბარძაყის კუნთი დაიზიანა.

შეგახსენებთ, რომ პსჟ-ს ზეგ ჩემპიონთა ლიგის უმნიშვნელოვანესი შეხვედრის გამართვა ბარსელონაში უწევს, თუმცა ჩვენ კიდევ უფრო გვაღელვებს მოახლოებული სანაკრებო ფანჯარა და, ვიმედოვნებთ, კვარა 11 და 14 ოქტომბერს პარტნიორებს ესპანეთშიც უკაპიტნებს და თურქეთშიც, სადაც მუნდიალ – 2026-ის საგზურის ბედი გადაწყდება.

ბიოს შოუ

ესპანეთის სუპერთასის ნახევარფინალში „ტენერიფე“ მადრიდის „რეალთან“ დაძაბულ ბრძოლაში, 71:72 დამარცხდა, ბიორგი შერმადინმა კი შესანიშნავი თამაში ჩაატარა.

„ტენერიფემ“ ტაიმი 10 ქულით მოიგო და ბოლო პერიოდის წინაც 5-ქულიანი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ ერთი ქულით მარცხი განიცადა და ფინალს მიღმა დარჩა.

შერმადინმა 30 წუთში 23 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა. კუნძულელთა ქართველმა ცენტრმა 11-დან 7 ორქულიანი და 10-დან 9 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 28-ს გაუტოლდა. ის ორივე გუნდში საუკეთესო იყო, როგორც ქულათა რაოდენობით, ისე მარგი ქმედების კოეფიციენტის მაჩვენებლით.

„ტენერიფე“ მომდევნო მატჩს 4 ოქტომბერს ჩაატარებს, როდესაც ლიგა ენდესას პირველ ტურში „მანრესას“ უმასპინძლებს.

თოფურიას სანაძლეო

UFC-ის ორი დივიზიონის ქართველმა ჩემპიონმა ილია თოფურიამ სოციალურ ქსელ X-ზე (ყოფილი ტვიტერი) პოსტი გამოაქვეყნა, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა

„ვის უნდა სანაძლეო დამიდოს, რომ UFC-ის თეთრი სახლის ღონისძიების მთავარი ბრძოლის მონაწილე მე ვიქნები?“ – წერს ილია თოფურია.

ცნობისთვის, გეტყვით, რომ აშშ-ს დამოუკიდებლობის 250-ე საიუბილეო დღესასწაულთან დაკავშირებით **დონალდ ტრამპისა** და **დანა უაითის** ერთობლივი გადაწყვეტილებით UFC-ის ღონისძიება თეთრ სახლში გაიმართება და მისი ჩატარება 2026 წლის ზაფხულში იგეგმება.

არდავიწყება

თათუშა შურღაია-თორდიას ხსოვნას

ერთი წელი გასრულდა, რაც საყვარელ ოჯახს, აფხაზეთში დაბრუნებაზე მეოცნებე და სამშობლოს მოყვარულ ადამიანთა რიცხვს გამოაკლდა ღვაწლმოსილი პიროვნება, „აფხაზეთის საზოგადოების სავიზიტო ბარათად“ წოდებული, გამორჩეული ადვოკატი და კეთილშობილი ქალბატონი **თათუშა შურღაია-თორდია.**

ქალბატონი თათუშა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ჯერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი ნოტარიუსი იყო, შემდეგ კი ადვოკატი და თითქმის 50 წელიწადზე მეტი შეალია სხვათა უფლებების დაცვას. მოგვიანებით ამაგდარი ადვოკატის საქმიანობა სათანადოდ დაფასდა: ღირსების ორდენით დაჯილდოვდა და საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის საპატიო წევრის წოდება მიენიჭა.

ქალბატონი თათუშას რამდენიმე საიუბილეო თარიღი თბილისში აღინიშნა, საპატიო სტუმრების გარემოცვაში, ქვეყნის შიგნიდან თუ მის ფარგლებს გარედან გამოგზავნილი უთვალავი მილოცვისა და თაიგულის თანხლებით. მიუხედავად ამისა, უკმარისობის გრძნობა არ ტოვებდა და იმედს არ ჰკარგავდა, რომ ასი წლის იუბილეს მაინც სოხუმში აღნიშნავდა; და რომ იმ დღეს საყვარელი მეუღლის – პიროვნული და პროფესიული თვისებებით გამორჩეული, ცნობილი მოსამართლის ვალერიან თორდიას საფლავთან მიიტანდა ყვავილებს და მასაც მიულოცავდა თავის იუბილეს. მაგრამ სამწუხაროდ, ოცნება ოცნებად დარჩა.

ქალბატონი თათუშა იყო დიდი ოჯახის დედა და ბებია. ის სამართლიანად ამაყობდა თავისი შთამომავლებით, შვილებით – ცნობილი იურისტით ვახტანგ თორდიათი, მედიკოსებით დოდოთი და მალხაზით, ასევე წარმატებული შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით, რომლებიც დღეს ღირსეულ სიტყვას ამბობენ იურისპრუდენციაში, მედიცანასა თუ სხვა სფეროებში.

მარადიული ხსოვნა და არდავიწყება თქვენს კოლორიტულ სახელს, ხალხისთვის დამაშვრალო უსაყვარლესო ქალბატონო!

მეუფე დანიელი, ნონა გაფრინდაშვილი, მინდია უგრეხელიძე, გურამ ოდიშარია, ირინა სიჭინავა, ნატო კორსანტია, ზურაბ თუზბაია, რეზო სხულუხია, ოთარ ჟორდანია.

ლადო ასათიანის 2025 წლის პრემიის გამარჯვებულნი

საზოგადოება „ქართულმა“ ლადო ასათიანის სახელობის პრემიის 2025 წლის კონკურსის გამარჯვებულები გამოავლინა.

ტიტული 21 წლის **თამარ ყურშუბაძესა** და 25 წლის **ნიკოლოზ ფუტკარაძეს** ერგოთ. მათ ფულადი ჯილდო და ლადო ასათიანის მედალი გადაეცათ, რომელიც ცნობილმა მოქანდაკემ **გოგა შხვაცაბაიამ** სპეციალურად კონკურსისთვის დაამზადა.

ლადო ასათიანის პრემია საზოგადოება „ქართულმა“ ახალგაზრდა პოეტებისთვის გასულ წელს დააარსა.

სოფელ თამარაშენთან დაკავებული არასრულწლოვნები თავისუფლები არიან

არასრულწლოვნები, რომლებიც, არსებული ინფორმაციით, სოფელ თამარაშენთან რუსმა ოკუპანტებმა დააკავეს, უკვე თავისუფლები არიან, – ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს პირველ არხს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაუდასტურეს.

„ბავშვები ჩვენთან და უსაფრთხოდ არიან“, – განაცხადეს სუს-ში. ამასთან, უწყებაში აცხადებენ, რომ სხვა დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

„საჩუქრად“ ირანიდან...

50 მილიონზე მეტი ღირებულების 200 კილოგრამი „ჰეროინი“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის საგაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 200 კილოგრამი „ჰეროინი“ ამოიღეს. ამოღებული ნარკოტიკული საშუალების ღირებულება ე.წ. შავ ბაზარზე 50 მილიონს აღემატება, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს. როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, ფაქტზე დაკავებულია ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, 1989 წელს დაბადებული მ.ბ.

„სამართალდამცველების მიერ ბრალდებულის მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომობილიდან, რომელიც დატვირთული იყო „თევზის საკვებით“, ნანახი და ამოღებულია ტვირთში დამალული 8 ტომარა, რომელშიც 200 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ იყო მოთავსებული. მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ აღნიშნული ავტომობილი საქართველოში ირანიდან, აზერბაიჯანის გავლით, სასაზღვრო გამტარ პუნქტ „წითელი ხიდიდან“ შემოვიდა.

ჩვენ გავაგრძელებთ შესაბამის საგამოძიებო მოქმედებებს, დანაშაულში სავარაუდოდ ჩართული სხვა პირების გამოვლენისა და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრე დარახველიძემ.**

ჩინეთის სოფლის მეურნეობის მექრთამე მინისტრს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს

ჩინეთის სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრს ტან რენჯიანს ქრთამის საქმეზე სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. როგორც ადგილობრივი მედია წერს, სასჯელი ძალაში ორი წლის შემდეგ შევა.

სასამართლომ დაადგინა, რომ 2007-2024 წლებში ტან რენჯიანი სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობაზე ყოფნისას გავლენის გამოყენებით ეხმარებოდა კომპანიებსა და კერძო პირებს ბიზნესში, კონტრაქტების მიღებასა და თანამდებობებზე დანიშვნაში.

ამისთვის რენჯიანმა პირდაპირ ან შუამავლების მეშვეობით 268 მილიონ იუანზე მეტი ფულადი თანხა და ქონება მიიღო.

სასამართლომ მას ბრალი წაუყენა განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქრთამის აღების მუხლით.

კანონის თანახმად, რენჯიანს სიკვდილით დასჯა ეკუთვნოდა, თუმცა სასამართლომ გაითვალისწინა ბრალის აღიარების ფაქტი, გამოძიებასთან თანამშრომლობა და ქრთამის უმეტესი ნაწილის ნებაყოფლობითი დაბრუნება, რის გამოც სიკვდილით დასჯა ორი წლით გადაავადა.

არასრულწლოვნის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულია 28 წლის ბიჭი!

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, არასრულწლოვნის გაუპატიურების ბრალდებით, 1997 წელს დაბადებული ნ.ჩ დააკავეს.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2012 წელს დაბადებულ არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირი დაამყარა, რაც პარალელურ რეჟიმში მისსავე სოციალურ ქსელში აიტვირთა და გავრცელდა. ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ნ.ჩ ბრალდებულის სახით დააკავეს. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს.

ინდოეთში მსახიობ ვიჯაის წინასაარჩევნო აქციაზე ჭყლეტის დროს 36 ადამიანი დაიღუპა!

ინდოეთში, ტამილ-ნადუს შტატში ცნობილი მსახიობის ვიჯაის წინასაარჩევნო აქციაზე მომხდარი ჭყლეტის დროს, სულ მცირე, 36 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 50-ზე მეტი დაშავდა.

ვიჯაი ინდოეთში ცნობილი მსახიობია. მან გასულ წელს პოლიტიკური პარტია შექმნა და მიმდინარე თვეში საარჩევნო კამპანია დაიწყო, 2026 წლის დასაწყისში დაგეგმილი რეგიონული არჩევნების წინ. ადგილობრივ ხელისუფლებაში განმარტავენ, რომ ჭყლეტის შედეგად 58 ადამიანი ჰოსპიტალიზებულია.

გულითადი მილოცვა



ღირსეულ ძმას გიულის!

ჩვენო ვაჟკაცო და მრავალჭირგადანახადო ძმაო, ღირსეულო და საყვარელო ადამიანო

გრიშა (გიული) მაკალათიავ!

გილოცავთ დაუვიწყარ თარიღს – დაბადებიდან 70 წლის იუბილეს და გისურვებთ ჯანმრთელ, მშვიდობიან წელთა სიმრავლეს, კეთილდღეობას და ბედნიერებას თქვენს შესანიშნავ, ტკბილ ოჯახთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად!

მადლობას გიხდით განვლილი წლებისთვის, უანგარო ძმობა-მეგობრობისთვის, ყოველმხრივი მხარდაჭერისთვის თითოეული ჩვენგანის მიმართ.

სიჭარმაგის ბედნიერი წლები გვისურვებია, გფარავდეთ ღმერთი.

ასი წლის იუბილეც მოგველოცოს!

გურამ მაკალათიას ოჯახი.

კულტურის სამინისტრო ხუთი მუზეუმის რეაბილიტაციას იწყებს

როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ეს მუზეუმებია: **გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, ტიციან და გალაკტიონ ტაბიძეების სახლ-მუზეუმები ვანში, ვაჟა-ფშაველას მუზეუმი და სახლ-მუზეუმი ჩარგალში.**

„საქართველოში არსებულ თითოეულ მუზეუმში ჩვენი ერისთვის ძვირფასი საგანძური ინახება. სახელმწიფოს ვალია, გაუფრთხილდეს მას და ყველა პირობა შექმნას სამუზეუმო სფეროს კიდევ უფრო განვითარებისთვის.

ზემოაღნიშნული მუზეუმების რეაბილიტაციის შემდეგ, მათი სახით საქართველოში გაჩნდება ახალი სივრცეები, სადაც როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ვიზიტორებს ექნებათ ჩვენი ქვეყნის მდიდარი კულტურის კიდევ უფრო ახლოს გაცნობის საუკეთესო შესაძლებლობა“, – ვკითხულობთ ინფორმაციაში.

ქართული კულტურის დღეები ანკარაში

26-27 სექტემბერს, ანკარაში, საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს ორგანიზებით, გეჰზეთის ეროვნული კონგრესის დარგაზში „ქართული კულტურის დღეები“ გაიმართა.

„ორი ჯგუფი საქართველოდანაა, ორიც ადგილობრივი – თურქეთელი ქართველებისაა. თავისთავად ეს ფაქტი ფრიად მნიშვნელოვანია.

მცირედი ინფორმაცია სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლთან არსებული ანსამბლ „კაფდაღის“ შესახებ: ანსამბლი ჯერ კიდევ 1993 წელს შექმნა გატონმა იბერია მელაშვილმა ბურსაში. 2011 წლიდან, რაც ჩვენი ხელოვნების სახლი დაარსდა, ანსამბლი სტამბოლშია. უკვე მერამდენე თაობა აღზარდა გატონმა იბერიამ. ანსამბლის რეპერტუარშია როგორც ახმეთ მელაშვილის მიერ შეკრებილი და გადარჩენილი ჰანგები და პოლიფონიური სიმღერები (მაჭახლური ფოლკლორი), ასევე, ზოგადად, ტაო-კლარჯული სიმღერები, ამასთანავე, ანსამბლი ასრულებს საქართველოს ყველა სხვა მხარის სიმღერებსაც, საკრავიერ მუსიკასაც და თანამედროვე ჰანგებსაც. გატონი იბერია დიდ საქმეს აკეთებს კულტურათაშორისი დიალოგისთვისაც და მისი ანსამბლი ასრულებს კავკასიელ ხალხთა სიმღერებსაც, ცხადია, თურქულ სიმღერებსაც. წარმატება ვუსურვოთ ამ გულიან ქართველებს“, – წერს ქართველი ისტორიკოსი, ეთნოლოგი **როზეტა გუჯეჯიანი** სოციალურ ქსელში.

გიგო გაბაშვილის გამოფენა სიღნაღში

25 სექტემბრიდან 26 ოქტომბრამდე საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი უმასპინძლებს გამოფენას – „რეალიზმი და სიმბოლიზმი გიგო გაბაშვილის ხელოვნებაში“.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის 50 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული მისი კოლექციიდან. ექსპოზიცია დამთვალიერებელს აძლევს იშვიათ შესაძლებლობას, აღმოაჩინოს იმ ოსტატის მხატვრული მემკვიდრეობა, რომლის ხედვამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ ხელოვნებას.

ქართული რეალისტური ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი გიგო გაბაშვილი (1862-1936) პროფესიულად განსწავლული ქართველი მხატვარია. მან მხოლოდ პორტრეტული ჟანრით შემოფარგლული ქართული დაზგური მხატვრობა მრავალი თემითა და ჟანრით გაამდიდრა. იგი გამორჩეული ხელოვანი იყო იმითაც, რომ ერთმანეთს უთავსებდა რეალიზმსა და სიმბოლიზმს – სრულიად განსხვავებულ ამ ორ მხატვრულ მიმდინარეობას. მის სიმბოლისტურ მემკვიდრეობაში აშკარად იკვეთება შემოქმედის ღრმა განსწავლულობა და ინტერესთა ფართო სპექტრი: მასში თავისებურად ასახულია ქართული მითოსები და ლეგენდები; ეთნოგრაფიული ტრადიციები და სიმბოლიკა.

გამოფენის თარიღი: 25.09 – 26.10.25. მისამართი: სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, შ. რუსთაველის ჩიხი N8.

პერფორმანსი „გზა“ სოხუმის თეატრში

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, სოხუმის თეატრმა, იუნესკოს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტთან ერთად, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ქორეოგრაფიული პერფორმანსი „გზა“ (277, 403) წარმოადგინა. ინფორმაციას აფხაზეთის მთავრობა ავრცელებს.

„რეჟისორ კოტე ლიპარტელიანის დადგმა ყველა იმ დევნილ ადამიანს ეძღვნება, რომელსაც 1993 წელს საკუთარი სახლის იძულებით დატოვება მოუწია.

პროექტის ფარგლებში, ინტერვიუ ჩაიწერა ჯაბა ჯანაშიასთან, რომელიც დევნილი 9 წლის ასაკში, საკუთარ დაბადების დღეზე გახდა. მას მშობლებთან და დასთან ერთად, ჭუბერის უღელტეხილის გადასალახად 13 დღე დასჭირდა. ინტერვიუზე და დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, მომზადდა ფილმი, მუსიკა და პერფორმანსი. წარმოდგენის პირველ ნაწილში ნაჩვენები იყო ჯაბა ჯანაშიას ინტერვიუ, ხოლო პერფორმანსის მეორე ნაწილში მოქმედება უკვე თეატრის სცენაზე განვითარდა.“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ვახტანგ VI-ის ღვაწლის წარმოსაჩენად

მეფე ვახტანგ VI-ის დაბადებიდან 350 წლის იუბილეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი გამოფენას უძღვნის.

ექსპოზიცია უნიკალურ მასალებს აერთიანებს. გამოფენაზე წარმოდგენილია მეფის გაცემული საბუთები, მისი ავტოგრაფები, ლექსთა კრებული, ხელნაწერები, პირველი ქართული სტამბის ძველნაბეჭდი წიგნები და სხვა.



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაგელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის აზრი,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს
ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს სოციალური
ქსელიდან და სხვა
მედია-საშუალებებიდან
გადმოგეჭდილ, ან უცხოური
პრესიდან თარგმნილი
მასალების, ფაქტების,
ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორი ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com

**ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:**
GE90BG0000000538329790

**მოგდევნო
ნომერი
გამოვა
ოთხშაბათს,
1 ოქტომბერს**